გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N14 (9158) | 21 მაისი. 2015 წელი | ფასი 50 თეთრი

2



## 12 გამგებელი და გუბერნატორი სამტრედიაში



3 „სამტრედიელთა ეს ბრწყინვალე წამოწყება სხვა რეგიონებსაც გადაედება"

ქალები პოლიტიკაში _ ეს უკვე პოლიტიკაა 3



„თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია!"

4 ცხრამ ურემი გადაზრუნდება

18 მაისი მუზეუმთა საერთაშორისო დღეა! 5

„ზოგი ვერ ამთავრებს იმ შედეგით, რითაც შოთიკომ დაიწყო"



6



„სკოლის წლები მოგონებად დარჩა"

კი არ ამთავრებთ, იწყებთ!

9 „ატომის წლებში პოეზია სულ აიჩია"

არსებობენ სასწაულმოქმედი მასწავლებლები

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს ნოდარ კორნელიძის სახელი მიენიჭა

# 12 გამგებელი და გუბერნატორი სამტრედიაში

**თეა ბაბუნაშვილი**

უკვე ტრადიციად იქცა თვეში ერთხელ იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტში გასვლითი გაფართოებული შეხვედრების ჩატარება. ამჯერად რიგში სამტრედია იდგა და 12-ვე რაიონის გამგებელმა გუბერნატორთან ერთად მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობასთან მოიყარა თავი. ''ერთმანეთს გამოცდილებას ვუზიარებთ საინტერესო შეხვედრები იმართება. სხვადასხვა საკითხით დაინტერესება და ახლებური რაკურსით მოგვარება ასე უფრო უკეთ ხდება. წინა თვეში საჩხერეში ვიმყოფებოდით. იქ განხორციელებულ პროექტებს გავეცანით და ინფრასტრუქტურული სამუშაოები დავათვალიერეთ. ამჯერად სხვები ნახავენ ჩვენთან რა ხდება.''_ აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ.



თავდაპირველად ტოლებისკენ აიღეს გეზი, სადაც მდინარე ხევისწყალაზე უკვე დასრულებული ნაპირსამაგრი სამუშაოები დაათვალიერეს. სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი 127 ათასიდან 12 ათასი პროექტის შედგენას მოხმარდა. დარჩენილი თანხით კი სამუშაოები შესრულდა. 114 ათასიდან ტენდერში გამარჯვებულმა ქუთაისურმა ორგანიზაციამ იგი 93 ათას ლარად შეასრულა. ამაზე ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მალხაზ ფუტკარაძემ ისაუბრა.

ტოლებიდან ჰოლანდიურ-ქართული ინვესტიციით შექმნილ სასათბურე მეურნეობას ''იმერეთი _ გრინერი'' ეწვივნენ, სადაც თერმული დამუშავებით გოგირდოვან წყლებზე ბოსტნეული კულტურების მოყვანა ხდება. სტუმრები ამ ტექნოლოგიებს გაეცვნენ, მით უმეტეს, რომ აქაური პროდუქცია ქართულ ბაზარზეც გადის.



ქართულ-თურქული ინვესტიციით აღდგენილ კულაშის სამკერვალო ფაბრიკაში ''მემთექს ჯორჯია'', გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე მუშახელს გაესაუბრა. როგორც გაირკვა, აქაური პროდუქცია, სპორტული ტანსაცმელი, საკმაოდ მაღალი ხარისხის წყალობით საზღვარგარეთის წამყვან ქვეყნებში მიდის საექსპორტოდ. გუბერნატორი კმაყოფილი გახლდათ იმით, რომ ''ბოლო პერიოდში სამტრედიის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ორი ინვესტიცია. სასათბურე მეურნეობის მშენებლობა 2014 წლის მაისში დაიწყო და უკვე დეკემბერში წარმოება ექსპლოატაციაში გავიდა. სამკერვალო ფაბრიკა მეორე განხორციელებული ინვესტიციაა. სათბურისგან განსხვავებით აქ სახელფასო ანაზღაურება რამდენადმე დაბალია, მაგრამ ინვესტორი დაგვპირდა, რომ მუშაობის ხაზის გაფართოებასთან ერთად ისიც მოიმატებს.'' ამ თემას გივი ჭიჭინაძე უკვე მუნიციპალიტეტის გამგეობის დარბაზში დაუბრუნდა, სადაც გაფართოებული თათბირი იმაზე საუბრით დაიწყო, რომ ''ინვესტიციებით განხორციელებული პროექტებისას უმჯობესი იქნება, არჩევანი იმ ქვეყნების ინვესტორებზე შეჩერდეს, ვინც უფრო მაღალი ფასით აფასებს შრომას. როგორც ვნახეთ, ჰოლანდიურ საწარმოში სახელფასო განაკვეთი ორჯერ მეტია თურქულთან შედარებით, სამუშაო პირობები კი თვალშისაცემად არ არის განსხვავებული.''





სხდომა ჟურნალისტებისთვის დახურული გახლდათ. შეხვედრის დღის წესრიგით მსჯელობა საგაზაფხულო ხვნა-თესვის, 2015 წლის სასკოლო ოლიმპიადების შესახებ მიმდინარეობდა. მოისმინეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიხედვით ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი სამუშაოების, აგრეთვე, თეატრალური ფესტივალის ''იმერეთი _ 2015'' და მუსიკალური ფესტივალის ''იმერეთის ხმა'' ჩატარების საორგანიზაციო საკითხებზე. ისაუბრეს 26 მაისს გასამართი ღონისძიებების ირგვლივ.

შეხვედრა იმერეთის გუბერნატორმა შეაჯამა.

# მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს ნოდარ კოხრეიძის სახელი მიენიჭა

**ნათია ნაცვლიშვილი**

ხმაურით დაიწყო 20 ივნისის საკრებულოს სხდომა. პირველი საკითხი, რომელიც მომხსენებელმა მანანა სირბილაძემ გამოიტანა, არასამთავრობო ორგანიზაცია ''სამტრედიელის'' ინიციატივას ეხებოდა გეგეშიძის ქუჩის №4-ში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის და იანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მე-9 ქუჩისათვის ნოდარ კოხრეიძის სახელის მინიჭების შესახებ. საკრებულოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ ქუჩისათვის რაიონის ყოფილი თავკაცის, რაიკომის პირველი მდივნის სახელის მინიჭების იდეას. საკამათოდ კი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საკითხი იქცა.

''ნუ ვიქნებით რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკენი'', _ განაცხადა ''რესპუბლიკელმა'' იმედა გოგავამ. მისივე თქმით მან შეისწავლა ქვეყნის მასშტაბით არსებული ვითარება და არც ერთი ახალგაზრდობის სახლს სახელი არ აქვს მინიჭებული, შემდეგ მის პოზიტიურ და დადებით დამოკიდებულებებს გაუსვა ხაზი გარდაცვლილისადმი, საფრანგეთიდან ჩამოსულს ლექტორად მუშაობის დაწყებაც შემომთავაზა, მაგრამ მისდამი უზარმაზარი პატივისცემის მიუხედავად, ვერ გავიზიარებ იდეას, ისეთ ზეპარტიულ ორგანიზაციას, როგორიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლია, ვისიმე სახელი მივანიჭოთო. მან საკრებულოს წევრებსაც მიმართა თხოვნით, გამოეჩინათ მეტად ობიექტური მიდგომა, რომ მომდევნო საკანონმდებლო ორგანოს მათი მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება არ დასჭირვებოდა. წინა ხელისუფლების პერიოდში აშენდა აუზი და საავადმყოფო სამტრედიაში, ანალოგიური მიდგომით. _ ამ ობიექტებსაც იმჟამინდელი გამგებლის სახელი უნდა მივანიჭოთ, მიიჩნია იმედა გოგავამ.

''მეცოდება ყველა ის ადამიანი, ვინც ყველა სიდიადეს უძებნის მიზეზს, რომ დააკნინოს''. _ ასეთი იყო პაატა კოხრეიძის რეაქცია იმედა გოგავას განმარტებებზე.



არა მარტო ავთანდილ სტურუამ მოუწოდა კოლეგებს თავის შეკავებისაკენ. სტურუას თქმით, ნოდარ კოხრეიძემ ბევრი გააკეთა სამტრედიისთვის და მისგანვე სმენია, თუ რა ლაბირინთებში მოუხდა გავლა და რა პრობლემების გადალახვა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი რომ აეშენებინა. მან საკითხი მოუმზადებლად მიიჩნია. უფრო მოხარული ვიქნები, თუ რომელიმე ხელოვანის სახელი მიენიჭებაო. _ ასეთი ვერსიაც შესთავაზა ავთანდილ სტურუამ საკრებულოს.

არც დავით ამაღლობელს დაუკნინებია ნოდარ კოხრეიძის პიროვნების დამსახურება, უბრალოდ განმარტა, ბოლოს და ბოლოს, ის იმ პარლამენტის წევრი იყო, დსთ-ში შესვლას ტაშის გრიალით რომ მხარი დაუჭირესო.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ტატა გოგუაძე საზოგადოება ''სამტრედიელის'' გამგეობის წევრია. მან აღნიშნა, რომ ნოდარ კოხრეიძეს უდიდეს პატივს სცემდა და რადგან საკითხი კამათის თემად იქცა, მან მიმართა საკრებულოს წევრებს, გარდაცვლილ ადამიანზე საუბარი ფაქიზი თემააო.

მამუკა ბიბილეიშვილს ნოდარ კოხრეიძის თანაშემწედ უმუშავნია, მისი დეპუტატობის პერიოდში. ''ნოდარ კოხრეიძეს ბევრი საქმე უკავშირდება, ის ბევრი ინიციატივის ავტორია, მაგრამ ერთს დავამატებ, ბევრჯერ, სახელთა მინიჭების დროს დაგვჭირდა კომისიის შექმნა, მომავალ საკრებულოზე დავსვათ ამ კომისიის შექმნის საკითხი, უხერხულია, ბატონ ნოდარზე დაისვას კითხვა: მივანიჭოთ თუ არა რაიმეს მისი სახელი?'' _ ასეთი იყო ამ გამომსვლელის აზრი.

გიორგი ლეჟავამაც გაიზიარა კომისიის შექმნის იდეა და კოლეგებს შეახსენა, კომუნისტურ წარსულს ნურავის ჩაუთვლით დანაშაულად, მეც ვმუშაობდი, ხალხს ვეხმარებოდი და არ მრცხვენია, არც კომპარტიის რაიკომის პირველი მდივნობაა სამარცხვინოო.

შეურაცხყოფილად ჩავთვლიდი თავს, მხარი რომ არ დამეჭირა საკითხისთვისო, _ პირდაპირი იყო უხუცესი წევრი, ტარიელ თევზაძე.

კომისიის შექმნის იდეა, ამ გამომსვლელთან ერთად საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიამაც გაიზიარა, რათა იოლად არ ხდებოდეს ამა თუ იმ ობიექტისათვის რომელიმე პიროვნების სახელი მინიჭება და კომისიის სავარაუდო შემადგენლობაც დაუსახელა საკრებულოს წევრებს. ''სამტრედიელის'' თავმჯდომარე თამაზ მურღულაიამ კომისიის შექმნის დაჩქარებისკენ მოუწოდა. მისი თქმით სექტემბერში მუნიციპალიტეტი სამტრედიის დაარსების 145 წლის იუბილეს აღნიშნავს და ორგანიზაციას ასევე აქვს ინიციატივა, რემი ვაშაკიძე საპატიო სამტრედიელად დასახელდეს.

სხდომის დინამიკა სულ სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების განწყობას ტოვებდა, მაგრამ როცა საკითხი კენჭისყრაზე დადგა, 19 ხმით 4-ის წინააღმდეგ (3 წევრი არ ესწრებოდა სხდომას), გადაწყვეტილება მიღებული იქნა. მეორე საკითხი მომხსენებელმა ბადრი შენგელიამ გამოიტანა და საკრებულოს წევრებმა ერთხმად მისცეს ხმა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-4 საჯარო სკოლისათვის მისი დამაარსებლის და პირველი დირექტორის, ტატიანა გეგუჩაძის სახელის მინიჭებას.

ბადრი შენგელიამ ასევე გამოიტანა საკითხი სამტრედიის ყოფილი მრავალდარგოვანი პროფესიული სასწავლებლის შენობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემასთან დაკავშირებით. შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. მანვე წაიკითხა განცხადება 587 მოქალაქის ხელმოწერით, რომლებიც სასწავლებლის აღდგენას ითხოვენ. სხდომას სასწავლებლის ყოფილი დირექტორი, იზო ნადირაძეც დაესწრო და ამ სასწავლებლის აუცილებლობაზე ისაუბრა. სხდომამ ერთხმად დაუჭირა მხარი შენობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემას.

სხდომამ განიხილა რიგი სხვა საკითხებიც.

## PIN-თან მუშაობა ღაინყო

არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან დადებულ ხელშეკრულებაზე ახლახან ვესაუბრეთ მკითხველს. არასამთავრობო ორგანიზაცია PIN-ი და მუნიციპალიტეტის გამგეობა სულ ცოტა ხნის წინ დაჰპირდა საზოგადოებას თანამონაწილეობით რამდენიმე პრობლემის მოგვარებას. შეხვედრაზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის და PIN-ის ფარგლებში ჩამოყალიბებული მრჩეველთა საბჭოს წევრის, კობა ძიძიგურის სამუშაო კაბინეტში რომ გაიმართა. ბოლო დეტალები გაარკვიეს ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად. შეხვედრას საფინანსო სექტორისა და იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, ვინც უშუალოდ ჩართულები არიან პროგრამაში. საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის და რეგიონული რესურსცენტრის ხელმძღვანელმა სოფიო კირთაძემ მათ ზოგიერთი საკითხი განუმარტა, რის შემდეგაც უფრო ხელსაყრელად და იოლად შეიძენენ ისინი იმ ინვენტარს, რაც პროგრამით არის გათვალისწინებული. პროგრამის ფარგლებში კი ქალაქის №№ 1, 5 და 10 ბაგა-ბაღებს საწოლებს, დიდი ჯიხაიშის № 1 ბაგა-ბაღს კი სამზარეულოს ინვენტარს, ქალაქის № 1 და გომის სამუსიკო სკოლებს ფორტეპიანოებს, საჭადრაკო სკოლას კი საჭირო ნივთებს შეუძენენ. ეს მეორე ეტაპზე. პირველ ეტაპის სამუშაოები, ყოფილი ხის დამმუშავებელი კომბინატის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობას რომ გულისხმობს, უკვე დაწყებულია.

*თეა ბაბუნაშვილი*

## კასპელი მექანიზატორები გომში

წელს, უამინდობასთან დაკავშირებით რაიონის სოფლებში ხვნა-თესვის სამუშაოები დაგვიანდა. გამონაკლისი არც სოფელი დაფნარია. ხვნასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელ ზაზა ნიკოლეიშვილთან ერთად დავუკავშირდით კასპის სერვისცენტრის მენეჯერს ვაჟა რამაზაშვილს. კასპის მექანიზატორთა ბრიგადა მივლინებულია სოფელ გომში. გამაკვირვა მათმა მომსახურებამ. მექანიზატორები გულდასმით უსმენენ ბენეფიციარებს და თავიანთ საქმეს პირნათლად ასრულებენ. განსაკუთრებით მინდა გამოვყო მექანიზატორი ჯუმბერ გეთაშვილი, რომელმაც მართლაც რომ თავი დაგვამახსოვრა როგორც თავისი საქმის ერთგულმა ადამიანმა. დიდი მადლობა მათ ამისათვის!

*რევაზ ქორიძე*

# ქალები პოლიტიკაში _ ეს უკვე პოლიტიკაა

## ლეკვი ლომისა სწორია...

**ლევან გაბეჩავა**

***სულმნათი რუსთაველის "ვეფხისტყაოსანზე" რომ არაფერი ვთქვათ, ქალისა და მამაკაცის თანაბარუფლებიანობას, თანაბარძალმოსილებას რომ ღაღადებს, 1918-21 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოშიც ხუთი ქალბატონი იყო წარმოდგენილი. არავის უკვირს კარგა ხანია ის, რომ ქალბატონები აქტიურად არიან ჩართულები პოლიტიკაში, სამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაციებში, გვევლინებიან მრავალი კეთილი საქმის თაოსნებად და ა. შ.***

***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილესთან, ლიზა კრავეიშვილთან ჩვენი საუბარი იმ გარემოებამ განაპირობა, რომ საზოგადოებას ახალ ამპლუაში გავაცნოთ საოცრად ინტელიგენტი, ერუდირებული ქალბატონი, ვისთვისაც თანამდებობა ურთულეს მოვალეობად, ყოველდღიური საქმიანობა კი დაძაბულ შრომად აღიქმება.***

***ქალბატონი ლიზა ხშირად გამოდის ლაკონური, შინაარსიანი სიტყვით კულტურულ, სპორტულ ღონისძიებებზე, წიგნიერი ადამიანის შინაგანი სამყარო იკითხება მის ნააზრევში.***

***მაშ ასე, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი დღეს "სამტრედიის მაცნეს" სტუმარია.***

**_ გიფიქრიათ ოდესმე, რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თუ იქნებოდით?**

_ სპეციალობით ინჟინერი ვარ, ტექნიკური საგნებისაკენ მაქვს მიდრეკილება, მიყვარს წარმოება-ტექნოლოგიური პროცესები, შედეგებზე ორინეტირებული სიახლეების ძიება, ამდენად, ნაკლებად წარმომედგინა თავი რაიონის მართვის სტრუქტურაში.

**_ როგორ უთავსებთ ერთმანეთს სამსახურსა და ოჯახს?**

_ სახლში მარტო ვცხოვრობ, ამდენად, არ მაკისრია ოჯახის წევრებისადმი პასუხისმგებლობა, რაც შეეხება სამსახურს, მიმაჩნია, რომ რთულ სფეროს ვემსახურები, გულთან მიმაქვს თითოეული ადამიანის გაჭირვება, ხშირად მიფიქრია: მოკლე წუთისოფელში რატომ უნდა იყოს ამდენი ტანჯვა და გაჭირვებული? მინდა, ყველაფერი კარგად იყოს.

**_ ყველაზე ბედნიერი დღე თქვენს ცხოვრებაში?**

_ ჩემი შვილიშვილის დაბადება და დღე, როცა პირველად ვეზიარე.

**_ თქვენი დამოკიდებულება წიგნთან, საყვარელი მწერალი, ლიტერატურული ნაწარმოები?**

_ უდიდეს პატივს ვცემ წიგნებსა და წიგნიერ ადამიანებს, მიყვარს კითხვა, თუმცა, საამისოდ საკმარისი დრო არ მრჩება. კონსტანტინე გამსახურდიას "დიდოსტატის მარჯვენა", გალაკტიონის "მესაფლავე", ვაჟას "სტუმარ-მასპინძელი", ილიას "მგზავრის წერილები" ჩემი საყვარელი ნაწარმოებებია.

**_ ქალის უპირველეს მოვალეობად რას მიიჩნევთ?**

_ ქალისათვის უფლისგან მინიჭებული უპირველესი მოვალეობა დედობაა, კარგი ოჯახის დიასახლისობაა, ოჯახის ქალობაა ფართო გაგებით. მიმაჩნია, რომ ქალმა უნდა შეძლოს თავისი შესაძლებლობების რეალიზება საზოგადოებაში.

**_ ხომ არ თვლით, რომ უფრო რთული რეალობის წინაშე აღმოჩნდით, ვიდრე გეგონათ მანამ, სანამ გამგებლის მოადგილე გახდებოდით?**

_ ჩვენი ხელისუფლება თავისთავად რთულ რეალობაში შეუდგა საქმიანობას. ძალზე რთულია, მრუდე ნათალის გასწორება, მით უფრო, რომ მთელები ისევ აგრძელებენ საქმიანობას. რაც შეეხება რაიონში აღმასრულებელ სტრუქტურაში თანამდებობებზე მუშაობას, აქ თავისუფლების ხარისხი შედარებით ნაკლებია. კანონი დაწერილია, წესები დადგენილია... მთავარია, ადამიანი წესიერი იყო, გქონდეს მასებთან კომუნიკაციის მიგნებული მეთოდი, შეგეძლოს პრიორიტეტების გამოკვეთა, მოკლედ, საჭიროა გაგაჩნდეს ანალიტიკური აზროვნება და მომავლის ჭრილში ცქერის უნარი. მე ყოველივე ამას ვცდილობ.



**_ რაიონში ბოლო ხანს გამოცოცხლდა კულტურული ცხოვრება, უახლოეს მომავალში განსახორციელებელ ღონისძიებებზე რას გვეტყვით?**

_ მე კოორდინაციას ვუწევ, ჩემს დაქვემდებარებებში შემოდის ორი სამსახური _ ჯანდაცვა და სოციალური; განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურები. რომლებსაც ლევან ახობაძე და ნატალია მანჯგალაძე ხელმძღვანელობენ. ორივენი საქმის მცოდნე, პრინციპული ადამიანები არიან. მოხარული ვარ, რომ აღნიშნავთ კულტურული ცხოვრება გამოცოცხლდაო, ეს, უპირველესად, სჭირდება ახალგაზრდებს სწორი ორიენტაციისათვის, ასაკოვნებს ლამაზ წარსულში დასაბრუნებლად, ყველას ერთად ღირსეული ტრადიციების შესანარჩუნებლად. უახლოეს მომავალში დაგეგმილი გვაქვს არა ერთი კულტურული ღონისძიება.

**_ მიმდინარე წელს 145 წელი სრულდება ქალაქ სამტრედიის დაარსებიდან, როდის, როგორ და რა ფორმატით მოხდება თარიღის აღნიშვნა?**

_ საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის მუშა პროცესი მიმდინარეობს, იუბილეს შემოდგომაზე აღვნიშნავთ, ეს იქნება მასშტაბური სპორტული და კულტურული ღონისძიებები, შეხვედრები ღირსეულ ადამიანებთან და ა. შ. ასე რომ, მზადება დაწყებულია.

**_ რამდენად ეკლესიური ხართ, გყავთ მოძღვარი?**

_ მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ტაძრის მრევლი, მამა გიორგის სულიერი შვილი ვარ, ვცდილობ, დავემორჩილო ყველა სავალდებულო წესს.

**_ ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ აუცილებელია პოლიტიკაში, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში ქალები უფრო მეტად იყვნენ წარმოდგენილები. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

_ თამარის მეფობის დასაწყისში, როცა ქვეყანა შინა ომის ზღვარზე იდგა, მტრულად განწყობილ მეჭურჭლეთუხუცესს ყუთლუ არსლანს მეფემ მოსალაპარაკებლად ორი წარჩინებული ქალბატონი, კრავაა ჯაყელი და ხუაშაქ ცოქალი გაუგზავნა. მათმა გონიერმა საუბარმა ქვეყანა შინააშლილობას გადაარჩინა, ეს უკვე პოლიტიკაა.

ჭკვიანი და თავდაჯერებული ქალიც და მამაკაციც თანაბრად ფასობს. ამდენად, ბრძენი ქალები საჭირო კი არა, აუცილებელიცაა მასშტაბურად იყვნენ წარმოდგენილები ყველა ასპარეზზე.

**წარმატებებს ვუსურვებთ საინტერესო რესპონდენტს საზოგადოებრივ საქმიანობაში.**

# "სამტრედიელთა ეს ბრწყინვალე წამოწყება სხვა რეგიონებსაც გადაედება"

**ნათია ნაცვლიშვილი**

"რესპუბლიკურმა პარტიამ" ლამის მთელი თავისი ეშელონი სამტრედიისკენ დაძრა. ამჯერად უამრავი "რესპუბლიკელის" სამტრედიაში სტუმრობის მიზანს არა პოლიტიკა, არამედ ძალზე სასიამოვნო მოტივი _ ქველმოქმედება განსაზღვრავდა. ქველმოქმედება ჩვენი საზოგადოების ყველაზე სათუთი და მოსაფრთხილებელი ნაწილის, სკოლამდელი ბავშვებისათვის. მთელი საქართველო აალაპარაკა "რუსთავი 2"-ზე გასულმა კადრებმა, სადაც კულაშის ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს შესაბამისი პირობების არქონის გამო არა საწოლებში, არამედ მაგიდაზე ეძინათ. იმ დღეს გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ სიუჟეტში ბევრი რამ გადაჭარბებული იყო, თუმცა, მასში ასახული გარემო არც რეალობისაგან იდგა შორს. ამდენად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა დაბა კულაშის მაჟორიტარმა იმედა გოგავამ ორგანიზება გაუწია ძალზე კარგ საქმეს. საქველმოქმედო ღონისძიებას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა უმასპინძლა. შეხვედრაზე მომსვლელი სტუმრებისთვის 30 ლარიანი მოსაწვევები დაარიგეს. იმედა გოგავას თქმით, 80 მოსაწვევი გაიყიდა, ნაწილი ახლობლების წრეში შეიძინეს, ასევე გამართეს აუქციონი, სადაც ცნობილი ადამიანების შემოწირული ნივთები გაყიდეს. ამ პროცესმა განსაკუთრებული ხალისი შემოიტანა დამსწრე საზოგადოებაში. სტუმრებმა საქველმოქმედო მიზნით გახსნილ ყულაბაშიც ჩაჰყარეს თანხა და 2 ლარიანი ბილეთებიც შეიძინეს, ლატარიაც გაათამაშეს და რამდენიმე ბილეთი მომგებიანიც აღმოჩნდა.

ღონისძიება ახლად ჩამოყალიბებული ბენდის "ლადი" (ხელმძღვანელი ბექან გოგია) სიმღერებით გაიხსნა. ფოლკჯგუფმა კიდევ უფრო შეჰმატა ენერგია და განწყობა აუმაღლა შეკრებილთ.

იმედა გოგავა: "ჩემო თანაქალაქელებო, ჩემთვის ძალიან საყვარელო ადამიანებო, თქვენი თანადგომის იმედი რომ არ მქონოდა, ვერც ამ აქციას გავბედავდი და შედეგს ვერ მივაღწევდით. იდეა ჟურნალისტებმა მიკარნახეს, დავხმარებოდით მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება. ამ ღონისძიებაში გაერთიანდა ყველა ადამიანი, ვისაც კი ამის სურვილი ჰქონდა, განურჩევლად პარტიისა თუ აღმსარებლობისა, ამ აქციაში ლამის მთელი სამტრედია ჩაერთო, იმედი მაქვს, დადგება დრო, ასეთი ქველმოქმედება ნაკლებად დასჭირდება ჩვენს მოქალაქეებს. ქველმოქმედებაში ჩაერთვნენ: ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, კერძო მეწარმეები, ადგილობრივი ჩინოსნები, ჩვენი პარტია ყველა დონეზე".

ლევან ბერძენიშვილი: "ქველმოქმედება კულტურის საკითხია, სამწუხაროდ, ქველმოქმედება მივიწყებულია და ეს საქმიანობა არ უნდა მოვთხოვოთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც ამის შესაძლებლობა აქვთ. სინამდვილეში ქველმოქმედება სულიერი მოქმედებაა, სიკეთის ქმნაა და იგი შეუძლია ყველას, შეიძლება არა ვართ ძალიან შეძლებულები, მაგრამ



გვესმის, რომ კულაშის საბავშვო ბაღისათვის რისამე გაღება შეგვიძლია, მჯერა სამტრედიელთა ამ ბრწყინვალე წამოწყებას ექნება გაგრძელება ქვეყანაში და ადრე ცნობილი ფრაზა: რა მოხდა აბაშაში? გავრცელდება სამტრედიაზე. ერთხელ დიდმა ქველმოქმედმა და ძალიან ცნობილმა კაცმა კერძო საუბარში მითხრა. 600 000 000 დოლარი რომ მოვიგე და თვითმფრინავი რომ ვიყიდე, მივხვდი, მეტი არ მჭირდებოდა, გამახსენდა, ჩემს კლასში ოროსანი ვიყავი და ხუთოსანი ვინც იყო, ისინი ცუდად რომ იყვნენ, შემრცხვაო. ყველას მინდა, შევახენო, როგორ გაითქვა სახელი ბიძინა ივანიშვილმა აურაცხელი რაოდენობა არსებობს მის მიერ გაღებული თანხით შეკეთებული ეკლესიებისა და ამით არასოდეს უტრაბახია. შემდეგ გამოქვეყნდა ხარჯები, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მილიარდებზეა ლაპარაკი".

სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი კახიანი: "ალბათ, დღევანდელი დღე კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ჩვენს გარშემო არიან ადამიანები, რომელთაც ჩვენგან სჭირდება როგორც მატერიალური თანადგომა, ისე სხვა სახის დახმარება, მადლობა ყველა სტუმარს, ორგანიზატორებს, კარგია, თუ ასეთი საქველმოქმედო აქცია ბევრი იქნება".

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე, ხათუნა სამნიძე: "მიხარია, რომ ბევრ "რესპუბლიკელს" ვხედავ, სხვა რაიონიდან ჩამოსულებსაც და სამტრედიელებსაც, ვიცით, რას ნიშნავს გამონათქვამი: ძალა ერთობაშია, იმედი მაქვს, სამტრედიის ეს ინიციატივა სხვა რეგიონებსაც გადაედება, ბევრ ასეთ შეხვედრას გავმართავთ და ერთმანეთს გვერდით დავუდგებით".

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერი ფოცხვერია:

"მივესალმები იმედას იდეას, თქვენ იცით ბაღების თემა როგორი პრობლემურია არა მარტო ჩვენთან, არამედ საქართველოშიც. ეს ის ბაღია, სადაც ბავშვებს მაგიდაზე სძინავთ, ბატონებო, ეს ხუმრობით. იმედია, ამ აქციის შემდეგ ბავშვები იქ დაიძინებენ, სადაც საჭიროა. დიდი მადლობა ყველას".

"რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენელი ცსკ-ში, ირაკლი ხორბალაძე:

"ამ პროექტის წამქეზებელი იყო საერთაშორისო ორგანიზაცია "ნიმდი", ვმუშაობდით, რომ დაგვეგეგმა ასეთი ღონისძიებების სერიები, სხვა ღონისძიებები იქნება უკეთესი. დასავლურ ევროპული საზოგადოებისთვის მსგავსი რამ არ არის უცხო, თუმცა, ჩვენს რეალობაში უცხო და პირველია".



მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია: "ქველმოქმედება უდიდესი მადლია, ჩვენი ხვალინდელი დღისთვის, ჩვენი ბავშვებისათვის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს და მომავალშიც ასე გაგრძელდება, მადლობა დღევანდელი დღის ორგანიზატორებს".

შეკრებილთ მიესალმნენ "რესპუბლიკური პარტიის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ბაია რომელაშვილი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომ-



იტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ნოდარ ებანოიძე და "რესპუბლიკელი" თემურ ნერგაძე, რომელიც პარტიის სიით, მალე დეპუტატი გახდება.

"ქართული ოცნებიდან" ფრაქცია "რესპუბლიკელებში" გადასულმა თამარ კორძაიამ მადლობა გადაუხადა საზოგადოებას თბილი დახვედრისათვის, და ღიმილისათვის. "ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ ასე უთქმელად გასცენ სითბო, წარმოუდგენელია, არ გასჩენოდათ იდეა, გალოთ სხვებისათვის". _ აღნიშნა მან.

სამტრედიას ასევე სტუმრობდნენ თერჯოლის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე სოფიო ბუსკივაძე, ქუთაისის საკრებულოს წევრი ნატალია ქათამაძე, ვანის საკრებულოს წევრი გიორგი ივანიაძე, ბაღდათის საკრებულოს წევრი შალვა ჯულუხაძე, ზუგდიდის, აბაშისა და ხონის საკრებულოს "რესპუბლიკელი" წევრები.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენელმა ქეთევან ივანიშვილმა აღნიშნა, რომ სავალალო მდგომარეობაშია ბაგა-ბაღები ჩვენს მუნიციპალიტეტში. კომუნისტური პერიოდის შემდეგ ამ შენობებზე არავის უზრუნია. 1700 აღსაზრდელია ჩვენს სააღმზრდელო დაწესებულებებში და იმედია, ჩვენი ქვეყანაც მოახერხებს, ისევე ვიზრუნოთ ამ პატარებზე, როგორც საკუთარ ოჯახებში ვზრუნავთ მათზე". _ განაცხადა მან.

კულაშის საბავშვო ბაღის მმართველმაც ეკა ბელთაძემა მადლობა გადაუხადა საქველმოქმედო აქციის ყველა მონაწილეს და იმედი გამოთქვა, რომ სხვა ბაღა-ბაღებიც იგრძნობენ ქველმოქმედების სიკეთეს.

აუქციონზე ბიზნესმენ ნატალია კვანტალიანის ბროშიც გაიყიდა, რომელიც მამუკა კოხრეიძემ 50 ლარად შეიძინა, გიორგი კახიანის რაგბის ბურთი 130 ლარად ირაკლი ხორბალაძემ შეიძინა, ირინა იმერლიშვილის შარფები იმედა გოგავამ მეუღლეს შეუძინა. კალამი სვაროვსკის თვლებით და მეხსიერების ბარათით ნატალია კვანტალიანისაგან 100 ლარად შალვა ჯულუხაძემ ბაღდათში წაიღო, ნატალია კვანტალიანის შარფი 30 ლარად მაია ნუცუბიძემ შეიძინა, განსაკუთრებულად მაღალ ფასად 250 ლარად სურათი გაიყიდა, რომელიც ზუგდიდელმა გიორგი თოდუამ თამარ კორძაიას საჩუქრად გადასცა. აშშ საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელის მიერ გადაღებული ფოტო ქუთაისელმა ნატალია ქათამაძემ შეიძინა.

ლატარიის გათამაშების პროცესიც სახალისო აღმოჩნდა. რატი ამაღლობელის ლექსების წიგნი ლევან ბერძენიშვილს ერგო, რომელიც დეპუტატმა სცენაზე გამომსვლელ პატარა დეკლამატორს ოთო შუბლაძეს უსახსოვრა.

"80 მოსაწვევი გავყიდეთ, 1000 ლარი კი საზეიმო მიღების დღეს შემოვიდა, სულ 3400 ლარი დაგროვდა, ამ თანხით შევიძენთ კულაშის საბავშვო ბაღისათვის მაგიდებს, სკამებს, ლეიბებს, თანამედროვე საბავშვო ლიტერატურას და სათამაშოებს. თანხა ეზოს შემოღობვასაც მოხმარდება". _ გვითხრა ღონისძიების შემდეგ იმედა გოგავამ.

საღამოს არაერთი სტუმრის კომპლიმენტი დაიმსახურა ჯგუფმა "ლადიმ", რომელიც თავის შესანიშნავი ჰანგებით ატკბობდა დარბაზში მყოფთა სმენას.

ჩვენს შეკითხვაზე, როდის ჩაატარებს ლევან ბერძენიშვილი დაპირებულ ლექციას წიგნიერების შესახებ, დეპუტატმა გვიპასუხა:

"ამ ლექციას ჩავატარებ მაშინვე, როცა, ამის საშუალება მოგვეცემა. ამას სჭირდება სივრცე და დამსწრე საზოგადოება და კიდევ, დრო რომ მქონდეს თავისუფალი. ქუთაისში რომ ვართ, თუ გვექნება ისეთი დღე, როცა სესია არ გვაქვს, სიამოვნებით დავდივარ ყველგან და ვატრებ ლექციას, ვიცი, რომ სამტრედიასთან ვალში ვარ, იმიტომ, რომ ბევრი მოყვარული ჰყავს ლიტერატურას აქ. არ მიკვირს, რომ ამ რეგიონში ასეთი ინტერესი არსებობს".

# "თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია!"

ლევან გაბეჩავა

***თქვა პოეტმა.***

***დიახ, დიდი ძალისხმევა დასჭირდა თაობების მიერ ნანატრ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. გავიხსენოთ საქართველოს ისტორიის დეტალები...***

***1918 წელი, მაისის 26, 4 საათი და 50 წუთი, თბილისი, გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირი, კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენცია, საქართველოს ეროვნულ საბჭოს ნოე ჟორდანიამ გააცნო "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი", რომლის თანახმადაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე რამიშვილმა სახელმწიფოთა მეთაურებს დეპეშით აცნობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ფაქტი.***

1918 წლის ივნისში, მთავრობის თავმჯდომარე გახდა ნოე ჟორდანია. საგარეო საქმეთა მინისტრი – ევგენი გეგეჭკორი.

1918 წელს ეროვნულ საბჭოს ეწოდა საქართველოს პარლამენტი.

1919 წლის თებერვალში ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, დამფუძნებელი კრების არჩევნები, სადაც დიდი უპირატესობით სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო ჩხეიძე. კრებამ დაადასტურა 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი".

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა და გერბი, ივანე ჯავახიშვილის რედაქციით შეჰქმნეს იაკობ ნიკოლაძემ და იოსებ შარლემანმა. 1918 წლის სექტემბერში დამტკიცდა საქართველოს სამფეროვანი დროშა, სახელმწიფო გერბად კი, – თეთრი გიორგი შვიდი მნათობით. სახელმწიფო ჰიმნის კონკურსში გაიმარჯვა კოტე ფოცხვერაშვილის "დიდებამ".



1919 წლის ივლისში დაიწყო დროებითი ფულადი ნიშნის ბონის გამოშვება, ჩამოყალიბდა ეროვნული ბანკი.

1918 წლის 3 სექტემბერს თბილისის უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდა.

1919 წელს სახელმწიფო მუზეუმი. 1920 წელს კი, საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა და საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივი შეიქმნა.

1921 წლის 21 თებერვალს, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 17 თავისა და 149 მუხლისაგან შემდგარი კონსტიტუცია.

იმავე 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია მოახდინა, რაც ეროვნული მთავრობის პოლიტიკური ემიგრაციითა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ტიტანური შრომა გასწია სახელმწიფოს ძირითადი ატრიბუტების, აუცილებელ ორგანოთა შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეში, რაც იმ დროს, იმ გარემოცვაში მთავრობის თითოეული წევრისაგან კოლოსალურ შრომასა და გმირობას მოითხოვდა.

...1991 წელს, 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიამ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე.

სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთგზის მცდელობისა, დღემდე ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი, ოკუპანტად კი, ისევ რუსეთი გვევლინება.

საქართველოს ხელისუფლების გეზშეუცვლელი სწრაფვა ქვეყნის "ნატოში" გაწევრიანებისათვის რუსეთს ყველაზე მეტად აღიზიანებს და ისიც ტრადიციას არ ღალატობს.

მცოცავი ანექსია, თუ საზღვრისპირა სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება ლამის ჩვეულებად ექცა ჩვენ ჩრდილოელ, ერთმორწმუნე "ძმას"...

26 მაისს საქართველო სახელწმიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეს, ქართველი ხალხი ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავს.

მადლიერი ერი, თაობები არ ივიწყებენ საქართველოს სახელოვან ისტორიას, არ ივიწყებენ გმირებს მთელი ცხოვრება საყვარელი სამშობლოს თავისუფლებას, რომ შესწირეს.

საოცრად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სწორედ 26 მაისს, (1939 წელი) მოევლინა ქვეყანას მერაბ კოსტავა, კაცი, რომელმაც უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად მიზნად ქვეყნისა და ხალხის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლა დაისახა და ამ მიზანს ემსახურა გარდაცვალებამდე.

დიდხანს უჩენდნენ თავსატეხსა და საფიქრალს საბჭოთა უშიშროებას მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია.

– "ზვიადი და მერაბი უფალმა ერთურთს ისე დააკავშირა, როგორც თავის დროზე ილია და აკაკი, საქართველო იყო და დარჩა ამ ღმერთკაცთა საფიქრალი, სალოცავი და საასპარეზო..." – წერდა ერთგან მწერალი. გადასახლებებმა, კატორღებმა ვერ გატეხეს მებრძოლი სული მერაბ კოსტავასი.

მთელი საქართველო შესძრა ბორითის გზაზე მომხდარმა ავტოსაგზაო შემთხვევამ, რომელსაც მერაბ კოსტავას სიცოცხლე შეეწირა. წრფელი გულით იგლოვა ერმა სიცოცხლეშივე გმირად ქცეული ვაჟკაცი, ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით მიუჩინა მარადიული სამყოფი და საქართველოს ეროვნული გმირის უსაჩინოესი წოდებით შეამკო მისი ამქვეყნიური ნამოღვაწარი.

რაოდენ დასანანია, რომ იგი ვერ მოესწრო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, ვერ მოესწრო მისთვის სათაყვანებელი სამშობლოს ხელახალ დაბადებას, მის ნაცლად კი 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს ხელს მისი დედა, ქალბატონი ოლღა დემურია-კოსტავა აწერს.

ვის წყალობა ზეცის თან სდევს,  
მსხვერპლის არდარიდებით,  
ის აღდგომის შარავანდედს  
შეიმოსავს დიდებით!



წერდა ზვიად გამსახურდია. ჭეშმარიტად მიესადაგება ეს სიტყვები საქართველოს ერონული გმირის, მერაბ კოსტავას ტანჯულ სულს, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

26 მაისს, ყოველთა ქართველთა ეროვნულ დღესასწაულს გილოცავთ!

# ხანამ ერიმი გადაზრუნდება

არავისთვის სამშობლოს წამრთმევი, ტოლერანტობისა და მეგობრობის იდეებით შთაგონებული ქართველი, ოდითგანვე შრომობს და იღვწის ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე. ქმნის იგავმიუწვდომელი ხალხური და კლასიკური პოეზიის ნიმუშებს, ზეციური ზეშთაგონების მრავალხმიან, მონუმენტურ სიმღერებს, ზრდის განსაცდელისაგან კაცობრიობის მხსნელ შვილებს.

კაცთმოყვარეობამ, ტოლერანტობამ, რელიგიურმა მიმტევებლობამ, ზოგადსაკაცობრიო იდეების აღქმის გამორჩეულმა ნიჭმა და უნარმა შემოინახა ქართველობა საკუთარ მიწა-წყალზე. მტერი კი მუდამ უამრავი გვყავდა და "მარად ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით". სამ ეთნიკურ ნათესავთაგან: ქართების, მეგრელ-ჭანების (ლაზების) და სვანებისაგან შექმნილი ქართველი ერი, როგორც ალექსანდრე დიუმა ბრძანებს, "განსაკუთრებული ხალხია და განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებს".

ისტორიის ქარტეხილებსა და ბედუკუღმართობას არაერთი მცირე და მრავალრიცხოვანი ხალხი აღუგვია პირისაგან მიწისა. მათი ისტორიის მხოლოდ ცალკეული დეტალები თუ შემორჩენია გაყვითლებული ქაღალდის ფურცლებს, ჟამთასვლით გაცვეთილ კედლებსა თუ თიხის ფირფიტებს.

სამარადისოა უძველესი, გასაოცარი ცივილიზაციის შემოქმედი ძველი ეგვიპტელების, შუმერების მიღწევები, მაგრამ, საუბედუროდ, ისინი გაჰქრნენ ისტორიის ასპარეზიდან. კაცობრიობის ცივილიზაციის კარიბჭესთან მდგომ ხალხთაგან თითო-ოროლა თუ შემორჩა დღევანდლამდე. ამ გამონაკლისთაგანია ქართველობა, რომელიც "გადარჩა როგორც ერი", შეინარჩუნა "მამული, ენა, სარწმუნოება" და "საბედნიეროდ, საბედნიეროდ, ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობს".

დიახ, გადავრჩით ჩვენივე წინაპრების სიბრძნით, გონიერებითა და შორსმჭვრეტელობით. გადავრჩით და ამაყად ვცხოვრობთ საკუთარ მიწაზე ჩვენივე კულტურით, ჩვენივე ენითა და დამწერლობით. ვცხოვრობთ იმავე გეოპოლიტიკურ გარემოში, კვლავაც უამრავი მტრით გარშემორტყმული. ისევ მთელი სიგრძე-სიგანით გვიდგას ფიზიკური და სულიერი გადარჩენის პრობლემა. მაგრამ ესოდენ რთული, ძნელად გასარკვევი და აღსაქმელი ვითარება, როგორიც დღესაა, იშვიათად თუ ყოფილა ქართველთა წინაშე.

დღეს, როგორც არასდროს ესაჭიროება ქართველს გონიერება, მტკიცე ეროვნულობა, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ღრმა ცოდნა და ანალიზი. სწორედ დღეს, ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ მიმართული ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში გვმართებს თავისი ნიჭისა და პოტენციალის სრულად წარმოჩენა, რასაც, სამწუხაროდ, ბოლო 25 წელი ვერ ვავლენთ, რის გამოც ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანება.

ავის მომასწავლებელია უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე "დამოუკიდებელ" საქართველოში შექმნილი დემოგრაფიული ვითარება. სამწუხაროდ, ამ მიმართებით საქართველოს ხელისუფალთ არც შუა საუკუნეებში, თვით ქვეყნის ძლიერების ხანაშიც კი არ გამოუჩენიათ დიდი ყურადღება. პარადოქსია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის აღწერა არ ჩატარებულა. შესაბამისად შეუძლებელი ხდება ცალკეულ საუკუნეებში საქართველოს მცხოვრებთა რაოდენობის განსაზღვრა.

დაზუსტებით მხოლოდ იმისი თქმა შეიძლება, რომ XIII საუკუნის 20-იანი წლებისათვის საქართველოს ტერიტორია შეადგენდა 246 ათას კვადრატულ კილომეტრს, ანუ 5-ჯერ მეტს, ვიდრე დღეს გვაქვს. სპეციალისტთა ერთი ნაწილის ვარაუდით, მაშინდელი საქართველოს მოსახლეობა 12 მილიონს, ზოგის აზრით, 9 მილიონს, ხოლო ზოგიერთის გათვლებით, 5 მილიონს აღწევდა. აქედან რომელი ციფრიც არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს, ყველა ეს მონაცემი იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდურია, რამეთუ მაშინდელი ევროპის ყველაზე მრავალრიცხოვანი სახელმწიფოს – საფრანგეთის მოსახლეობა შეადგენდა 13 მილიონს, იტალიის – 8 მილიონს, გერმანიის – 7,3 მილიონს, ხოლო ინგლისის (შოტლანდიისა და უელსის ჩათვლით) 2,5 მილიონს.

ამავე პერიოდში საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა 1,5 პროცენტს, ანუ მსოფლიოში ყოველი 10 000 კაციდან 150 ქართველი იყო. დღეს კი საქართველო ტერიტორიის მიხედვით მსოფლიოში 115-ე, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით 92-ე ადგილზეა. მისი მოსახლეობა კი დედამიწის მცხოვრებთა 0,1 პროცენტსაც არ შეადგენს.

ერთ დროს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივად ძლიერ, ხალხმრავალ საქართველოში დემოგრაფიული ვითარების ასეთი მკვეთრი გაუარესება მრავალმა ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორმა განაპირობა. გარეშე მტერმა და შინააშლილობამ შეიწირა ქართული სახელმწიფოებრიობა, დაქვეითდა ეროვნული თვითმყოფადობისა და სუვერენიტეტის განცდა და უნარი. აუნაზღაურებელი ზარალი მიადგა ქართულ გენოფონდს.

XIII საუკუნიდან დაწყებული 6 საუკუნე ანადგურებდა ქართველობას "ტყვის სყიდვის" უკურნებელი სენი, რის შედეგად დასავლეთ საქართველოდან ყოველწლიურად 10-12 ათასი რჩეული ქალვაჟი გაჰყავდათ. ქართველი ვაჟები მამლუქთა და იანიჩართა ლაშქართათვის, ხოლო ქალები ოსმალთა სულთნების ჰარამხანებისათვის.

აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კი მუსრს ავლებდა "ლეკიანობა". ჩრდილო კავკასიელები ყოველწლიურად 14 ათასამდე ქართველს იტაცებდნენ. კიდევ უფრო დიდი უბედურება ის იყო, რომ "ტყვის სყიდვაში" თვით ქართველებიც იყვნენ აქტიურად ჩართულნი. ქართველი ახალგაზრდების დატაცება და გაყიდვა არაერთმა ჩვენმა თანამემამულემ შემოსავლის წყაროდ (ბიზნესად) გაიხადა. "ტყვის სყიდვის" ამ შემზარავი უზნეობის მომსწრენი, თავიანთ აღშფოთებას ვერ მალავდნენ უცხოელი მისიონერები და მოგზაურები: არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი და სხვები. როდესაც ჟან შარდენი 20 წლის შემდეგ მეორედ ეწვია საქართველოს, სამეგრელოს მოსახლეობა მას ორჯერ შემცირებული დახვდა. მხოლოდ 20 წელიწადში სამეგრელოდან გაყიდული იქნა 30 ათასი ქართველი ქალ-ვაჟი, რომელთა გენის შესახებ თავის აღფრთოვანებას ვერ მალავს თვით თავშეკავებული ევროპელი და ამბობს: "ქართველთა სისხლი უმშვენიერესია მთელ დედამიწაზე, მე აქ არ მინახავს არც ერთი უშნო სახე, შეუძლებელია, უფრო მომხიბლავი ტანისა და ლამაზი სახის დახატვა, ვიდრე ქართველი ქალებისა". დიახ, უმოწყალოდ ვყიდდით ამ უმშვენიერეს ქალებსა და ვაჟკაცებს, რომლებიც შემდეგ ალამაზებდნენ და აკეთილშობილებდნენ ისლამურ სამყაროს. ამის შესახებ პირდაპირ ამბობს უდიდესი მეცნიერი ჩარლზ დარვინი: "არ არსებობს ირანსა და ოსმალეთში არც ერთი არისტოკრატიული გვარი, რომელიც გაკეთილშობილებული არ იყოს ჩერქეზთა და ქართველთა სისხლით".

"ტყვის სყიდვა" და "ლეკიანობა", საბედნიეროდ, წარსულს ჩაბარდა, მაგრამ დემოგრაფიული კატასტროფის აშკარა საფრთხე სახეზეა. თუკი 1992 წელს საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონ 600 ათასს შეადგენდა, დღეს იგი 3 მილიონ 700 ათასია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგი 45 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა ყოველ 10 წელიწადში საშუალოდ ნახევარი მილიონით იზრდებოდა, მაშინ დღეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა 7 მილიონამდე უნდა ყოფილიყო. ანუ 20 წელიწადში დავკარგეთ მოსახლეობის თითქმის ნახევარი. ესოდენ დიდი ზიანი კი საქართველოს გენოფონდისათვის არ მიუყენებია ყველა მტერს ერთად აღებულს, მთელი მისი ისტორიის მანძილზე.

ვითარება კიდევ უფრო მძიმე იქნებოდა, რომ არა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დიდი ძალისხმევა და ჭეშმარიტად მამულიშვილური ზრუნვა ერის გადარჩენისა და ქვეყნის მომავალზე. სწორედ ქართველთა სულიერი მამის ზრუნვითა და ლოცვაკურთხევით გადაწყვიტა ათასობით ოჯახმა, ურთულეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, მესამე და მეოთხე შვილის გაჩენა.

საუბედუროდ, ბევრი ჩვენი თანამემამულის სიცოცხლე შეეწირა საქართველოს მარიონეტი ხელისუფლების ინსპირირებულ ძმათამკვლელ ომებსა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების უზნეო თარეშს. შედეგად ქვეყანამ დაჰკარგა თავისი ტერიტორიების ერთი მეხუთედი და გულანთებულ პატრიოტთა საკმაოდ დიდი ნაწილი.

"ქართლის ჭირს" დღეს მართლაც რომ "ვერავინ მოსთვლის". საფრთხე შეექმნა, როგორც ქართულ გენოფონდს, ასევე, საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ სუვერენიტეტს. მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა და კულტურის ქვეყანას დასავლეთის გავლენის აგენტებით დაკომპლექტებული მარიონეტი ხელისუფლება მართავს. საქართველოს დაპატრონებული კოსმოპოლიტები და ფსევდოპატრიოტები, ჭეშმარიტ პატრიოტებსა და ეროვნულობას წარსულის გადმონაშთად, ხოლო ამ იდეების მატარებელთ შუა საუკუნეებში ჩარჩენილებად აცხადებენ.

მოსყიდული სატელევიზიო არხები და "მეხუთე კოლონად" ქცეული არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი დეზინფორმაციით კვებავენ საზოგადოებას. გაუკუღმართებული აზრებით არც ხალხს ასვენებენ და არც ქვეყანას.

დროა, ქართველობამ გავითავისოთ, რომ სწორედ დასავლეთის აგენტმა და მედასავლეთე ხელისუფლებამ შესწირა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საკუთარ სავარძელს. რომ მათი პოლიტიკა კიდევ უფრო გვაშორებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

პირდაპირ დავაყენოთ საკითხი – ცდ-

# ვიჩქაროთ ნელა

## 18 მაისი მუზეუმთა საერთაშორისო დღეა!

**ლევან გაბეჩავა**

ეს სიტყვები წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელმა, ჯონი ნადირაძემ 19 მაისს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამართულ შეხვედრაზე თქვა.

წლების მანძილზე საოცარი მონდომებით იღვწის ქალბატონი გულიკო ცინცაძე მუზეუმის გახსნისათვის, ათეულობით ექსპონატი მოიძიეს ამ ხნის განმავლობაში გულიკო მასწავლებელმა, მოსწავლე-ახალგაზრდობამ, დაინტერესებულმა, პატრიოტმა ადამიანებმა.

კავი, ქოთნები, თუნგი, ძველისძველი ხალიჩები, ფარდაგები, გიდელი... ჩვენი ყოფის, ისტორიის ცალკეულ ეპოქაში გვმეგზურობენ.

ორი წელი გავიდა, მუზეუმმა საქმიანობა რომ განაახლა მას შემდეგ, სწორედ ამ ორ წელიწადში ჩატარებული სამუშაო გააცნო შეკრებილთ გულიკო ცინცაძემ და თანადგომისათვის მადლობა უძღვნა ქალბატონებს ნათელა გელეიშვილს, ნათელა ბრეგაძეს, ტატა გოგუაძეს, ბატონებს ჯონი ნადირაძეს, ამირან ნიკოლეიშვილს, ირაკლი მაჭავარიანს, ჯემალ ტაბიძეს, გოგიტა გიორგაძესა და სხვებს.

სამადლობელი ქალბატონ გულიკოს, არც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მისამართით დავიწყნია, ფინანსურად მხარს რომ უჭერენ და ეხმარებიან ეროვნულ საქმეში.



მუზეუმმა ექსპონატები იმ დღესაც მიიღო. ქალბატონმა მზია ჩიხლაძემ ხევსურული ტანსაცმლით, ბატონებმა ამირან ნიკოლეიშვილმა და ჯონი ნადირაძემ წიგნებით გაამდიდრეს მუზეუმი.

კვლავ დღის წესრიგში დგას მუზეუმის მშენებლობის საკითხი, იგი აუცილებლად აშენდება და ქალაქს კიდევ ერთი კულტურული ობიექტი, კულტურის კერა შეემატება, მანამ კი მუზეუმი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლშია შეხიზნული.

როგორც მოსალოდნელი იყო, საინტერესო იდეებით წარსდგნენ შეკრებილთა წინაშე პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი, ჯონი ნადირაძე.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ნატალია მანჯგალაძემ მადლობა მოახსენეს ქალბატონ გულიკო ცინცაძეს, ყველას ვინც მხარში უდგას ამ საშვილიშვილო საქმის შემოქმედთ და თანადგომა აღუთქვეს მუზეუმის თანამშრომლებს. საამოდ ეფინებოდა დარბაზს უკვე მარადისობაში გარდასული ანსამბლ "სანავარდოსა" და ცნობილი ლოტბარის თამარ ისერგიშვილის ნამღერი.

ვიჩქაროთ ნელა, მუზეუმის შექმნას საოცარი რუდუნება, ყურადღება, სითბო, საქმის გულთან ახლოს მიტანა ესაჭიროება და არა სიჩქარე. აღნიშნა დასასრულს ჯონი ნადირაძემ.



# "მუზეუმები _ ისევ ქვეყნის, ისევ ციცხლების"

**ნათია ნაცვლიშვილი**

შემოქმედებითად დატვირთული იყო მუზეუმთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში. კვირეული ჩატარდა სახელწოდებით "მუზეუმი საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის". 12-დან 18 მაისის ჩათვლით გამართულ ღონისძიებებში მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. 18 მაისს ასწლოვანი ხეებით დამშვენებულ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის ულამაზეს ეზოში დასკვნითი ღონისძიება გაიმართა, სადაც კვირეულში მონაწილე მასწავლებლები და მოსწავლეები მუზეუმის თანამშრომლებმა სიგელებით დააჯილდოვეს. კვირეულის პირველ დღეს გაიმართა კონკურსი თავისუფალი თემის, ესსეს, ჩანახატის შექმნაში თემაზე: "ჩვენ და მუზეუმი" "ჩემი თანამედროვე ნიკო ნიკოლაძე", "ჩემი რაინდი _ გიორგი ნიკოლაძე". მომდევნო დღეებში ნორჩი მხატვრების კონკურსი გაიმართა თემაზე "მისი ბაღის და სასახლის ისმის ხეთა მასლაათი", ან "აქ რომ ჰკითხოთ, შეჩერება იცის დრომაც". რადგან ამ ადგილას "ვეფხისტყაოსანს" ხშირად კითხულობდნენ, კვირეულის ფარგლებშიც მოეწყო "ვეფხისტყაოსნის" კითხვა. ასევე მოეწყო ინგლისური, ფრანგული, გერმანული პოეზიის ნიმუშების ქართულიდან თარგმნა და ლიტერატურული საღამო. მოეწყო კლასიკური მუსიკის საღამო და ხალხური სიმღერების კონკურსი. ამ სახლ-მუზეუმმა ასევე უმასპინძლა "მხიარულ სტარტებს" და ტურნირს ნარდსა და ჭადრაკში. მუზეუმის ეზოში, შემაღლებულ სცენაზე გამოდიოდნენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები და ქართველ პოეტთა შედევრებს წარმოსთქვამდნენ. აქტიურობდნენ თანამედროვე პოეტთა ლექსების დეკლამაციითაც. იმღერეს შესანიშნავი ქართული სიმღერები. მუზეუმის დირექტორმა, ლია ბიბილეიშვილმა ლექციური საუბარი გამართა მოსწავლეებთან და მათ ურჩია, ხშირად იარონ მუზეუმში და გაეცნონ იქ წარმოდგენილ ექსპოზიციას. "სიტყვა დიდი ჯიხაიში ციხე-სიმაგრეს ნიშნავს, ამ დიდი ციხე-სიმაგრის ბინადარი ნიკო სწორედ ციხესიმაგრეა, ერისა და მამულისათვის. ყველა ჩვენგანისათვის საამაყო უნდა იყოს დიდ ჯიხაიშელობა, უნდა კარგად გავაცნობიეროთ, რა სიმდიდრის პატრონები ვართ და რით მოვიწონოთ თავი" . _ განაცხადა მან. მანვე ისიც გაიხსენა, როგორ ეხუმრებოდა დიდ ეროვნულ მოღვაწეს, ნიკო ნიკოლაძეს ამ ოჯახის ხშირი სტუმარი, ქართული პოეზიის ბულბული, აკაკი წერეთელი, რად გინდა ამ მოშხამულ, კოღოებით სავსე დიდი ჯიხაიშში ცხოვრებაო".





მისივე თქმით, ამ მუზეუმშივე გამოიცემა გაზეთი, ნიკო ნიკოლაძის გახმაურებული წერილის სახელწოდებით: "მამულის სიყვარული და მსახურება", საიდანაც საზოგადოება უკეთ ეცნობა ნიკოლაძეთა ღვაწლს. ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი ის სფეროები, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ, მიიჩნევს ქალბატონი ლია. მუზეუმთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კვირეულში წარმატებული მონაწილეობის გამო დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტის მე-8 საჯარო, მე-11 საჯარო, მე-4 საჯარო, ღანირის საჯარო, დიდი ჯიხაიშის № 1 საჯარო (ყაზბეგის უბანი), დიდი ჯიხაიშის იაკობ ნიკოლაძის სახელობის საჯარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები.

ილობდა კი ოდესმე რეალურად ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის ხელისუფლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას? პასუხი ცალსახაა _ არა! მათ ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის აღდგენისა და დემოგრაფიული კოლაფსისაგან თავის დაღწევის გონივრული გეგმაც კი არ გააჩნდათ. პირიქით, ისინი თავად იყვნენ ძმათამკვლელი ომების მაპროვოცირებელნი და წინასწარ წასაგებად დაგეგმილი ომების დამწყებნი.

საქართველოს წინა ორმა ხელისუფლებამ და დღევანდელმა ოპოზიციამ არა და ვერ გააცნობიერა ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის დემოგრაფიული ვითარება კატასტროფულია, რომ იგი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ევროკავშირისა და ნატოსაკენ სწრაფვის დემონსტრირება. მით უფრო მაშინ, როდესაც მილიონამდე ქართველი მათ მიერ მტრად გამოცხადებულ და დიქტატორული რეჟიმის ქვეყნად შერაცხულ რუსეთში ცხოვრობს.

ქართული გენოფონდისა და სახელმწიფოებრიობის გადარჩენად აუცილებელია ყველა ჩვენგანის მობილიზება, გონიერება, ქვეყნის სწორი პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის აღება, და რაც ასე მთავარია, არსებულ რთულ საერთაშორისო ვითარებაში საიმედო პარტნიორისა და სტრატეგიული მოკავშირის შეუცდომლად განსაზღვრა.

მოკავშირე და მეგობარ სახელმწიფოთა ძიებისა და ორიენტირების, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი გამოცდილება ქართველებს საკმაოდ გვაქვს. საქართველოს გადარჩენის ტოლფასი გამოდგა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის არჩევანი რუსეთზე. სიბეცე იქნებოდა, რომ არ დაგვენახა ის პოზიტიური შედეგები, რაც ამ ნაბიჯს მოჰყვა. იგი საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქართველთა ფიზიკური გადარჩენის ტოლფასი გამოდგა, ზღვარი დაედო "ტყვეთა სყიდვასა" და "ლეკიანობას".

რუსეთთან შეერთებისას საქართველოს მოსახლეობა 630 ათას მცხოვრებს ითვლიდა. ქვეყანა 10 ნაწილად იყო გაყოფილი, ხოლო აფხაზეთში ქართველ მეფეს 4 საუკუნეზე მეტი ფეხი არ ჰქონდა დადგმული, აჭარა და სამცხე-ჯავახეთი კი 250 წელზე მეტი თურქეთის ეპყრა.

XIX საუკუნის დასაწყისში გავრცელებულმა შავმა ჭირმა უმოწყალოდ დარია ხელი ქართველობას, რის შედეგადაც ქვეყნის მოსახლეობა 450 ათასამდე შემცირდა.

სამწუხაროდ, ქართველები არა თუ სხვისი, არამედ საკუთარ შეცდომებზეც ვერ ვსწავლობთ. გონივრული ფიქრისა და გადაწყვეტილებების ნაცვლად სხვის დაკრულზე ცეკვა დაგვჩემდა. ბატონი კონსტანტინეს ბრძანებისა არ იყოს, "ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვა ქვეყნებში ატეხილი ჭირი".

შექმნილი დემოგრაფიული ვითარება არა მხოლოდ საფრთხეს უქმნის საქართველოს მომავალ არსებობას, არამედ დღევანდელობასაც. აკნინებს საქართველოს პოზიციებს, არა მხოლოდ საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ თვით ამიერკავკასიაშიც. საუკუნეთა მანძილზე, საქართველო, რომელსაც ბერძნები "კავკასიის ჭიპს" უწოდებდნენ, კავკასიის სიმბოლო კი საქართველო _ კავკასიის მზე იყო, წარმოადგენდა კავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს. დღეს კი მკვეთრად შემცირდა საქართველოსა და მისი მოსახლეობის ხვედრითი წილი. მაშინ, როდესაც 1926 წლისათვის კავკასიის მასშტაბით ქართველები 465 ათასით სჭარბობდნენ სომხებს, ხოლო 125 ათასით აზერბაიჯანლებს, 80 წლის შემდეგ სურათი რადიკალურად შეიცვალა _ აზერბაიჯანელთა რაოდენობა კავკასიაში 3-ჯერ მეტია ქართველებზე. არის აშკარა საშიშროება, რომ მალე თვით საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანლები მეტი იქნებიან ქართულ მოსახლეობაზე. თუ ოციოდე წლის წინათ საქართველოში მრავალრიცხოვან გვართა შორის პირველ ოცეულში მხოლოდ ქართველები იყვნენ, დღეს უკვე ბერიძეების გვარის შემდეგ (12419 სული) მეორე ადგილზეა მამედოვების 12 185 კაციანი გვარი, მეოთხეზე ალიევები და ა. შ.

უკაცრიელდება საქართველოს სოფლები და ქალაქები. 4700 სოფლიდან უკვე 750 აღარ არსებობს. 10 სულზე ნაკლები ცხოვრობს 170 სოფელში, ხოლო ყოველ მესამე სოფელში ასზე ნაკლები კაცია დარჩენილი. მაშინ, როდესაც საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ქართული სოფელი მარტყოფი, ახლა ხალხმრავლობით ყველას უსწრებს აზერბაიჯანლებით დასახლებული ლაგოდეხის რაიონის სოფელი კაბალი და საგარეჯოს რაიონის სოფელი იორმუღანლო.

ჩვენთვის საგანგაშოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზი, რომლის მიხედვით 2050 წლისათვის აზერბაიჯანის მოსახლეობა გაიზრდება 34 პროცენტით, სომხეთის 7 პროცენტით, ხოლო საქართველოს მოსახლეობა შემცირდება 28 პროცენტით.

საქართველოში მოსახლეობის ასეთი მკვეთრი შემცირება ძირითადად განაპირობა ბოლო წლების მიგრაციულმა პროცესებმა, რაც გამოწვეულია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებითა და უმუშევრობით. დაუზუსტებელი ინფორმაციით დღეს უცხოეთში ორ მილიონამდე ქართველი ცხოვრობს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყნიდან გადახვეწილთა შორის აბსოლუტური უმრავლესობა ახალგაზრდობაა და რომ ისინი სამშობლოში უკეთეს შემთხვევაში მოხუცობის ჟამს თუ დაბრუნდებიან, მაშინ დემოგრაფიული საფრთხე კიდევ უფრო აშკარაა.

სიტუაციას ამძიმებს ისიც, რომ ქვეყანაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მოშლის გამო, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდობა იძულებულია დატოვოს სამშობლო. მასიური ხასიათი მიიღო მეცნიერული ნიჭით დაჯილდოებული, საზოგადოების გონიერი ნაწილის, "ტვინების" გადინებამ, რაც საქართველოს შუა საუკუნეებში დაბრუნების აშკარა საფრთხეს უქმნის.

გერმანელი მეცნიერის რ. ფ. ტადდენის აზრით, თუ მოსახლეობის 7-8 პროცენტი საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში მიდის, მაშინ ერი იდენტურობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგება. საქართველომ კი კარგა ხანია გადააბიჯა ამ ზღვარს.

მოსახლეობის პერმანენტული შემცირება, "ტვინების გადინება" აშკარა საფრთხეს უქმნის ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ პერსპექტივებს, თვით ქართული ენის ფუნქციონირებას.

საქართველოდან და განსაკუთრებით მისი სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია გარკვეულწილად განაპირობა იმანაც, რომ მადლიანი ქართული მიწა ვერ გავხადეთ მაღალპროდუქტიული, ვერ გამოვიყენეთ უხვმოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მცენარეთა და შინაური ცხოველების ჯიშები. სანაცვლოდ ხელი მივყავით ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის გადამთიელებზე გაყიდვა-გასხვისებას.

თუკი თვითოეული ჰოლანდიელი ფერმერი საშუალოდ 180 ადამიანს კვებავს, ქართველი გლეხი (ფერმერი) საკუთარ ოჯახს ძლივს არჩენს. თუ ევროპის ქვეყნებში ძროხები დღეში საშუალოდ 50-60 ლიტრ რძეს იძლევიან, ჩვენში ეს მაჩვენებელი 5-6 ჯერ ნაკლებია. მაშინ, როდესაც ჰოლანდიელი წელიწადში 180 ათასამდე ევროს ღირებულების პროდუქტს ქმნის, ქართველი მხოლოდ 1103 ევროს ეკვივალენტ პროდუქტს აწარმოებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითოეული ჰოლანდიელის შრომის ნაყოფიერება ქართველისაზე 162-ჯერ მეტია.

24 წელია, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის ნაცვლად ქვეყანაში სიდუხჭირემ და უმუშევრობამ დაისადგურა.

თუ 25 წლის წინათ საქართველო ყოველწლიურად 39 მილიარდი დოლარის პროდუქციას ქმნიდა, დღეს ეს მაჩვენებელი 1 მილიარდ დოლარამდე შემცირდა. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიგა პროდუქცია წელიწადში 5 ათას დოლარსაც ვერ აღწევს და იგი ამ მხრივ ჩამორჩება ბუნებრივი რესურსებით უფრო ღარიბ მეზობელ სომხეთს და 119-ე ადგილზეა მსოფლიოში.

ისმის ლოგიკური კითხვები: რატომ დავკარგეთ ტერიტორიები? რატომ ვართ დემოგრაფიული კოლაფსის წინაშე? რატომ დაგვიჩლუნგდა ეროვნულობის განცდა? რატომ აღარ ისმის საუბარი ისეთ თემებსა და ცნებებზე, როგორიცაა პატრიოტიზმი, ვაჟკაცობა, ჭეშმარიტება, ზნეობა, სინდისი, ნამუსი?..

ისტორიის კუთვნილება რატომ გავხადეთ ერთ დროს ესოდენ პოპულარული პატრიოტული ლექსები და სიმღერები. თვით საქართველოში გამართულ კონკურსებზე რატომ არ ისმის ქართული სიმღერები და მომეტებულადაა უცხოური მელოდიები? რატომ არავინ ამბობს ერთ დროს ქართველთა მიერ ფიცის რანგში აყვანილ სტრიქონებს: "არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა"? რატომ არავინ მღერის "დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო, ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო"?

ნუთუ, მართალი იყო ფილოსოფოსი კონსტანტინე კაპანელი, როდესაც ამბობდა: "ქართველი საზოგადო მოღვაწე ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერია, ქართველი ხელოვანი ცრუ, კუდაბზიკა და ტრაბახა... ქართველი დილიდან საღამომდე იმას ფიქრობს, როგორ დაამციროს მეორე ქართველი; წახდება თუ არა ამით საერთო საქმე, ეს მას არ აწუხებს. სამაგიეროდ, თავისიანებში მუხანათი და ვერაგი ქართველი, უცხო ტომის მორჩილი მსახურია".

დავფიქრდეთ, გავაცნობიეროთ არსებული ვითარება, შევძლოთ თეთრისა და შავის გარჩევა, მივაღწიოთ ერის გამთლიანებასა და კონსოლიდაციას, ვიხსნათ საქართველო მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფისაგან. ამასთან გავითვალისწინოთ, რომ საფიქრალი დრო ძალზე ცოტა გვაქვს. თვითოეული წუთი პირდაპირ აისახება საქართველოს მომავალზე.

არ დაგვავიწყდეს იუნესკოს გაფრთხილება, რომ ქართველობა მსოფლიოს გაქრობადი (გადაშენებადი) ერების პირველ ხუთეულში შედის.

შემოვკრათ განგაშის ზარები, დავდგეთ ფეხზე, ვიდრე გვიან არ არის, სანამ ურემი გადაბრუნდება!

***დემურ ღლონტი***
***პროფესორი***

# “ზოგი ვერ ამთავრებს იმ შედეგით, რითაც შოთიკომ დაიწყო”

ნათია ნაცვლიშვილი

***მეექვსეკლასელმა “სამტრედიის მაცნეს” რედაქციის კარი მოკრძალებით შეაღო და დირექტორს, ბეჟან გოგიას მის მიერ შესრულებული კარიკატურები წარუდგინა. ის დირექტორთან მისივე პედაგოგმა, ქეთევან კეშელავამ მიიყვანა. ბეჟან გოგიამ ნახატებს დახედა და მოსწავლეს უთხრა, თუ ეს მართლა შენი ნამუშევრებია, აბა ჩემი კარიკატურა დახატეო. არც პატარა შოთამ დააყოვნა, ნახატმა მოწონება დაიმსახურა. იმ დღის შემდეგ ცნობილი კარიკატურისტის მასტერ-კლასები შედეგიანი აღმოჩნდა. შოთიკოს თვალსაწიერი თანდათან გაფართოვდა, ხატვის ნიჭთან ერთად მას სიტყვასთან ჭიდილის საოცარი ნიჭიც აღმოაჩნდა. ენერგიას თანაბრად ანაწილებს როგორც ხატვის, ისე წერის “ფრონტზე”. ორივე სფეროში წარმატებებს რომ აღწევს, მისი პირველი პერსონალური გამოფენაც გამოდგება დასტურად.***

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის მცირე დარბაზში შოთა პაპავას კარიკატურები გამოიფინა. რომ იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდებოდა შოთას თაყვანისმცემლებით გადაჭედილ დარბაზში.

გამოფენის მოწყობის იდეა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის მთავარ ბიბლიოთეკარ რუსუდან კახიანს ეკუთვნის, რაც სიამოვნებით აიტაცეს თანამშრომლებმა. უამრავი გულწრფელი, საქები სიტყვა მოისმინა და საჯაროდ გამოცხადებული სიყვარული დაიმსახურა ახალგაზრდა მხატვარ-კარიკატურისტმა თანაქალაქელთაგან.

საღამო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია ჩიხლაძემ გახსნა: “ეს სამტრედიელთა საამაყო პატარა ბიჭი ჩვენი დიდი ხნის მკითხველია, გილოცავთ შოთა ამ ლამაზ, დიდი კარიერის დასაბამად ქცეულ დღეს და გისურვებ მომავალში უკვე ცნობილ მხატვარს მოგეგონებინოს, რომ პირველი გამოფენა სწორედ ამ ბიბლიოთეკაში მოაწყვე”.

ლევან გაბეჩავა, გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი: “ბატონი ბეჟანის, ცნობილი მხატვარ-კარიკატურისტის მეშვეობით იქცა შოთიკო გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” შტატგარეშე ავტორად, შემდეგ კი, მისივე ძალისხმევით და მუნიციპალიტეტის ხელისუფლების კეთილი ნებით, იგი სამტრედიაში ყველაზე ახალგაზრდა მუშაკი გახდა. ულრმესი მადლობა ამისთვის რაიონის ხელისუფლებას. დიდ ერისკაცს, ნიკო ნიკოლაძეს დროს გასწრებული გენიოსი უწოდეს, მისი სული არ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ შოთიკო დროს გასწრებული ახალგაზრდაა, ის ძალიან აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს გაზეთთან, მისი რესპონდენტები სხვადასხვა დროს ყოფილან აკადემიკოსი მზექალა შანიძე, პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, უფრო მეტიც, ისინი შოთას უმცროს მეგობრად აღიარებენ”. ლევან გაბეჩავამ აუდიტორიას გააცნო მხატვარ-კარიკატურისტების, ბესიკ დუღაშვილისა და ზაალ სულაკაურის შეფასებები, სადაც ისინი ნიჭიერ ახალგაზრდას ახასიათებენ. ასე ამკობს მას ბესიკ დუღაშვილი: “შოთიკო, ამ ეტაპზე, მოვლენაა ქართულ კარიკატურაში”.

შოთიკოს გზა სკოლის დირექტორმა, ხათუნა თელიამაც დაულოცა, საჩუქარი გადასცა და მიმართა: “შოთა ძალიან გვეამაყება, ის სკოლის წამყვანი მოსწავლეა, ღმერთმა გაგაძლიეროს, სულის მხნეობას გისურვებ”.

ბეჟან გოგიამ, “სამტრედიის მაცნეს” დირექტორმა აღნიშნა: “შოთიკო ჩემი მეტოქეა, მაგრამ არ ვებრძვით ერთმანეთს, მისთვის არაფერი დამიშურებია, ყველაფერი ვასწავლე, მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ქალბატონ ქეთევან კეშელავას, რომელმაც 12 წლის ბავშვი მომიყვანა, ვუთხარი, ამ ადამიანს დიდ კაცად გავხდი-მეთქი, ის ჩემი შვილივით მიყვარს, ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან. შოთიკო, სულით და გულით გილოცავ ლამაზ გამოფენას. არაერთ ამაზე უკეთესი გამოფენას გამართავ, შენ ძალიან დიდი ადამიანი იქნები, ასახელებ შენს ქალაქს და სამშობლოს”.

ბატონმა ბორის ფოცხვერაშვილმა შთაბეჭდილებათა წიგნში შოთიკოს ჩაუწერა: “ჩემო პატარა მეგობარო, 16 წლის ასაკში უკვე საქართველოს და მით უმეტეს, ჩვენი ქალაქის საამაყო შვილი ხარ, წარმოდგენილი მაქვს, ვინ იქნები მომავალში”.

“სამტრედიის მაცნეს” ჟურნალისტი ნათია ნაცვლიშვილი: “შოთიკო, არსებობენ ადამიანები, რომელთაც თავისი განათლება ინელებს და ასევე არსებობენ ისეთები, რომელნიც განათლებას ინელებენ. მჯერა შენ პირველ კატეგორიას არ განეკუთვნები. ვინსენტ ვან გოგის სიტყვებს შეგახსენებ: “გინდ სახელი მოგიხვეჭავს და გინდ სიგარა იმ ბოლოთი ჩაგიდვია პირში, საითკენაც ცეცხლი უკიდია. პოპულარობას შენარჩუნება უნდა, მჯერა, ღირსეულად გაივლი შენს სავალ გზას”.



“პოლკის შვილობილი” უწოდა ჩვენი გაზეთის გამომშვებმა რედაქტორმა თეა ბაბუნაშვილმა ჩვენს ყველაზე უმცროს კოლეგას. “მას აფასებს საზოგადოება მისი ინტელექტისა და ერუდიციის გამო. დღეს ცოტაა ჭეშმარიტად წიგნის მოყვარული და ისეთი ბავშვი, რომ ეტყობათ, ინტელიგენტები იქნებიან. შოთიკო ჩვენთანაც, ბიბლიოთეკაშიც და სკოლაშიც, სწავლობს იმას, რაც ოჯახიდან მოჰყვება, სითბოსა და სიყვარულს. ალბათ მალე მოგვიწევს კალმების დადება, რადგან ჩვენს უკან შოთიკო დგას”.

ქალბატონმა თალიკო მიქაძემ ბრძანა: “შოთიკო თვითნაბადი ოქროა, ამ ოქროს გამოვლენა უნდოდა, დიდ მადლობას მოვახსენებ “სამტრედიის მაცნეს” რედაქციას. ჩვენი რედაქციით ძალიან ვამაყობ, არ შემიძლია, გაზეთის რომელიმე ნომერი არ წავიკითხო. შოთიკო რომ მოვიდა რედაქციაში, როგორ აიტაცეს ეს ბავშვი. არ დავმალავ, ჩემთან რომ მოსულიყო, გავგზავნიდი სამუშაოდ, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, ისეთ ორგანოში, სადაც განსაკუთრებული ინტელექტის მქონე ხალხი მუშაობს, პატარა ბიჭი გამეგზავნა. თუმცა ეს გზა მან იპოვა”.



ანტონ გეგეშიძე: “სამტრედიის საზოგადოება ნიჭიერ ახალგაზრდას შემოქმედებით გზას ვულოცავთ. იგი მოვლენაა სახვით ხელოვნებაში, განსაკუთრებული ხელწერითა და სტილით.”

ქალბატონი ნათელა გელეიშვილი შოთიკოს თაყვანისმცემელთა დიდი არმიის სათავეშია: “დიდი მადლობა, რომ არსებობს ეს ბიბლიოთეკა, რომ აფასებთ ნიჭიერ ახალგაზრდებს, შოთიკო პაპავასთან ვსაუბრობ, როგორც თანაბარი შესაძლებლობების მქონესთან (უფრო მეტიც), მგონია, ის ჩემი ასაკისაა, მიკვირს როგორ ახერხებს ყელაფრის მოსწრებას”.

ქალბატონმა ნათელამ შესთავაზა იდეა შეკრებილთ, სამტრედიის 145 წლის იუბილეზე შოთიკოს ნამუშევრების ალბომი შეიქმნას. ამ ინიციატივას მუნიციპალიტეტის გამგებელი დაეთანხმა.

ბორის ფოცხვერაშვილმა კი იმ დღესვე საჯაროდ დაასახელა შოთა პაპავა მისი დაწყებული საქმის დამსრულებლად. “80 წლის კაცი ვარ, მე და მზია ჩიხლაძე ვწერთ სამტრედიის თეატრალური ცხოვრების შესახებ, წიგნზე მუშაობა შენ უნდა გააგრძელო...”

ქეთევან კეშელავამ გაიხსენა, თუ როგორ შეაღეს ერთად “სამტრედიის მაცნეს” კარი და დასძინა: “მახსოვს, პირველი ინტერვიუ თეა ბაბუნაშვილმა გააკეთა და დაასათაურა: პატარა დიდი ბიჭი! მიხარია, რომ ბეჟანმა ასე კარგად მიიღო, კარგი მიმართულება მისცა მის ნიჭს”.

შოთას კლასის დამრიგებელმა, მაია გიორგაძემ აღნიშნა: “მიუხედავად იმისა, შოთიკო ასეთი ნიჭიერი კარიკატურისტი და მრავალმხრივ განვითარებული ბიჭია, პიროვნებად არის ჩამოყალიბებული. 16 წლის ასაკში ის უკვე პიროვნებაა, მადლობა შოთიკოს, რომ არსებობს ამ ქვეყანაზე”.

მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი, თინა ხარძიანი შემოუერთდა ღონისძიებას, მის მთავარ გმირს გიორგი კახიანის სახელით საჩუქარი გადასცა და განაცხადა: “მადლობა მის დედას და მამას, რომ ასეთი კარგი ქართველი, სამტრედიელი გვაჩუქეს. დიდება უფალს, რომ ეს ახალგაზრდა გვყავს სამტრედიაში”.

მუსიკოსი მარინა ახობაძე შოთიკოს უკვე მიიჩნევს ქალაქის კოლორიტად. “როგორც რეზო ლაღიძე იტყოდა, მუსიკოსებად კი არ იზრდებიან, იბადებიანო; შოთიკო დაიბადა ასეთად და მას შესანიშნავი გენეტიკაც დაეხმარა. დიდი მადლობა ქალბატონ დოდოს, რომ საუკეთესო შვილი აღზარდა ნინოს სახით. თუ გავითვალისწინებთ შოთას ასაკს, ვიტყვი, რომ ის ხელოვნების ამ სფეროს მოცარტია.”

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ გამოფენას შოთიკოს ნიჭის პრეზენტაცია უწოდა. “შენ უკვე დიდი კაცი და დიდი პიროვნება ხარ. პირველ რიგში, მის პედაგოგს ვუხდი მადლობას, რომელმაც ბატონ ბეჟანთან მიიყვანა. ეს ბიბლიოთეკაც ნიჭიერების გამოხატულებაა, ძალიან ბევრი ღონისძიება ვნახე და ყველა ერთი მეორეზე უკეთესია. აქ ყოველთვის სამტრედიის გემოვნებიანი საზოგადოება, ნამდვილი ინტელიგენცია იკრიბება”.

წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ანტონ ვაშაკიძე: “აი ამ ყველაფერს როცა გადავხედე, ერთ-ერთი საეკლესიო მწერლის ნათქვამი გამახსენდა: ღვთის დიდება, ეს არის ცოცხალი ადამიანი, ანუ ადამიანის არსებობიდან იდიდება ღმერთი. აქტიური ურთიერთობა შოთასთან არ მაქვს, მაგრამ ამ ნამუშევრების ნახვის შემდეგ დაუსწრებელი მეგობრობა უკვე მაკავშირებს. ერთ-ერთ ბესტსელერში “ხელოვნების ამბავი” არის ასეთი ჩანაწერი: რაფაელი რომ ცოცხალი იყო, ბუნება წუხდა, მე დამამარცხებს თავისი შემოქმედებითო, ხოლო როცა რაფაელი გარდაიცვალა, ბუნება დამწუხრდა, ჩემი მოამაგე დავკარგეო. რაფაელისა და რენესანსის მებაირახტრეების დარ წარმატებას გისურვებ, შოთიკო. ბევრ რაღაცას დავარქვით ბედნიერება ადამიანებმა, ბერდიაევი ამბობს, ბედნიერება არის ჩვენს პიროვნულ განვითარებაში. სწორედ ასეთ პიროვნულ განვითარებას გისურვებ”. _ მიმართა მან შოთიკოს და საჯაროდ შესთავაზა მეგობრობა.

პედაგოგი გულიკო გოგიტიძე თავისი მოსწავლეებით გამოცხადდა გამოფენაზე. “პირველად რომ ვნახე შოთიკოს ნახატი, შემეშინდა, მაღლა ზეცას ავხედე და ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, ლევან სანიკიძის სიტყვები გავიმეორე: “მადლობა უფალს, რომ კვლავაც ევლინებიან ქვეყანას ზეგარდმო ნიჭით ნაკურთხი ტალანტები...” _ აღნიშნა მან.

ბატონი გიგანტი ბიბილეიშვილი იხსენებს, როგორ მიიქცია შოთიკო პაპავას გვარ-სახელმა ყურადღება ჩვენს გაზეთში მისი კარიკატურის ქვემოთ, იმ დღიდან მოყოლებული შოთიკოს არც ერთ წერილს წაუკითხავს არ ტოვებს. “იშრომეთ ქვეყნის საკეთილდღეოდ და თქვენ არასდროს არ დაბერდებით”. _ ლექსით მიმართა მან შოთას.

“დიდი ხანი არ არის, რაც შითიკო ბატონმა ბეჟანმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურს გააცნო. “აღფრთოვანებული ვარ ამ მცირე ასაკის ბიჭის მიღწევებით. ის ნამდვილად დიდი კაცია, რადგან ღვთითკურთხეული ნიჭი აქვს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ღვთის ნაჩუქარ ნიჭს შრომით ინარჩუნებს, აძლიერებს, ცდილობს, მაქსიმალური ნაყოფი გამოაღებინოს”. _ ბრძანა მან.

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით მოეფერა შოთიკოს რუსუდან კახიანი. “პატარა დიდი ბიჭი, ძალზე სანდომიანი, მინდა ვუსურვო ყველა ოჯახს და სრულიად საქართველოს, ჰყავდეს უამრავი შოთიკოსნაირი. რადგან ასეთებმა უნდა მართონ და გადაარჩინონ საქართველო”. _ განაცხადა მან და ბიბლიოთეკის სახელით საჩუქარი გადასცა.

“არ ველოდი, თუ ასეთი მასშტაბური იქნებოდა ეს გამოფენა, ერთი რამ მინდა, გულისტკივილით გითხრათ, დავპირდი შოთიკოს, რომ გამგეობის სხდომათა დარბაზში მოვაწყობდით მის გამოფენას. ბიბლიოთეკაში საკმარისი სივრცე არ არის, ნახატს დისტანცირება სჭირდება შესაფასებლად. ეს ბავშვი არის არაჩვეულებრივად ნიჭიერი და მოვალენი ვართ, მის ნიჭს დიდი გასაქანი, ასპარეზი მივცეთ”. _ გვითხრა გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა.

კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე: “ჩვენს წინაშე უნიჭიერესი ახალგაზრდაა, იმედი მაქვს, შოთიკო არაერთხელ ასახელებს ჩვენს ქალაქს, მას უამრავი წარმატება ელოდება, გაოგნებული ვარ მისი ნამუშევრებით”.

შოთიკოს არცთუ დიდი ხანია იცნობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია, თუმცა მას ღვთაბერივი ნიჭის მქონეს უწოდებს. “შოთიკო თავისი შრომით ბევრს მიაღწევს, შოთა უდიდესი კარიკატურისტის, გიგლა ფირცხალავას გზის შესანიშნავი გამგრძელებელი იქნება”. _ პროგნოზირებს ბატონი ნუგზარი.

მე-12 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ლია ნიკურაძე: “ჩვენ გამოფენაზე მასთან მოვედით, როგორც ხელოვანთან, მაგრამ ის არის არაჩვეულებრივი მოსწავლე, ვერც ერთი მასწავლებელი ვერ გაიხსენებს მის ზედაპირულად მომზადებულ გაკვეთილს. სულ უკან დამდევს, რაღაცას მეკითხება, მუდამ ძიებაშია, ჩემთვის შოთიკო არის მეგობარი, როგორც სულგანაბული გვისმენს ის გაკვეთილზე, ისე სულგანაბული მსმენელი ვარ მე მისი, როცა ცნობილ ადამიანებთან შეხვედრის შთაბეჭდილებებს გვიყვება, მას მუდამ ახსოვს ვისი გორისა არის”.

მხატვარი და პოეტი ჯემალ ტაბიძე: “მივულოცავ ბატონ შოთას ამ გამოფენას, ეს დიდი წარმატებაა, ზოგის რეპლიკა გაჟღერდა, რომ შოთა კომპიუტერში მუშაობს, ჩვენ პროვინციაში ვცხოვრობთ და ვერ ვუწყობთ ფეხს სიახლეებს, თორემ მთელი მსოფლიო კომპიუტერში ქმნის ხელოვნების ნიმუშებს. რა მნიშვნელობა აქვს მასალას, შესაძლებლობებს, მთავარი ხომ შედეგია და ეს შედეგი არის შესანიშნავი! კარგად ვიცნობ ზაალ სულაკაურს და მის შემოქმედებას, რომ შევადაროთ მისი კარიკატურები შოთას კარიკატურებს, ტოლფასია, თუ მეტი არა. რა, კომპიუტერამდე რომ დაბადებულიყო შოთიკო, არ დახატავდა კარიკატურებს? ზოგი ვერ ამთავრებს იმ შედეგით, რითაც ბატონმა შოთამ დაიწყო, პლუს ამას მის პუბლიცისტიკასაც ვიცნობ, ღვთის წყალობით ერთი ნიჭიერი ადამიანი კიდევ ჰყავს ჩვენს ქალაქს და ეს უნდა გვიხაროდეს!”

შოთა პაპავამ თავმდაბლად მოახსენა მადლობა შეკრებილთ და დაგვპირდა, რომ მომავალში უფრო დიდ გამოფენაზე დიდ დარბაზებში შევხვდებით.

პოეტის სიტყვებით დავულოცავთ შოთას გასავლელ დიდ სარბიელს: “არ გაგითავდეს _ მწიფე ლექსი! არ გაგიწყალდეს _ ძელგი ღვინო!”





## ტრადიცია კვლავ გრძელდება

სიყვარული ღვთისნიერი
წინ გვითია ლამპარად...
*ჯ. ჩარკვიანი*

ჩვენს მშობლიურ სამტრედიაში ბევრი ღირსეული მამულიშვილი გაზრდილა. მათ თავიანთი ნიჭითა და მოღვაწეობით ბევრჯერ უსახელებიათ თავისი ქალაქი და სამშობლო. საბედნიეროდ, ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად ეს ტრადიციები დღესაც გრძელდება. უნდა ითქვას, რომ ამ პიროვნებათა სახელების საქვეყნოდ აღიარებაში მცირე წვლილი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკასაც მიუძღვის გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქციასთან ერთად. ეს წვლილი გამოიხატება მათი მხრიდან ჩვენი ქალაქის ღირსეული ადამიანების: მეცნიერების, მწერლების, პოეტების, კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობების, მხატვრების, სპორტსმენების დაფასებაში, მათთან შეხვედრებში, მათი წიგნების პრეზენტაციებსა და პერსონალური ნამუშევრების გამოფენის მოწყობაში. ამის პარალელურად, აქ ხდება ჩვენი ქალაქის მკვიდრი, სახელოვანი ადამიანების გახსენება. კულტურულ ღონისძიებებში აქტიურადაა ჩაბმული ქალაქის საზოგადოება, ინტელიგენციის ფენა, რომლებიც თავიანთი გამოსვლებით კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევენ შემოქმედებით გზაზე მდგარ ნიჭიერ ახალგაზრდობას წარმატებების მიღწევაში. მისასალმებელია, რომ დღეს საზოგადოების მთავარი აქცენტი ჩვენი ქალაქისა და რაიონის ახალგაზრდა ნიჭიერ თაობაზეა გადატანილი, რომელიც თავის სიტყვას ამბობს ყველა დარგსა და სფეროში, მსოფლიო მასშტაბითაც კი. ამის უახლოესი მაგალითია ნიჭიერი გოგონების ტრიუმფალური გამარჯვება ჩინეთში ქალთა გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატზე, რაშიც უდიდესი წვლილი ჩვენი ქალაქის ახალგაზრდებს მიუძღვით.

და კიდევ ერთი წარმატებული ღონისძიების შესახებ, რომელმაც ამ საგაზეთო წერილის დაწერა გადამაწყვეტინა.

როგორც ცნობილია, ახლახან მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო ქალაქის მკვიდრის, უკვე საქვეყნოდ აღიარებული ახალგაზრდა მხატვარ-კარიკატურისტის, შოთა პაპავას ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა, რომლის მთავარი ორგანიზატორი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის კოლექტივი იყო. დამთვალიერებლები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, სიტყვით გამომსვლელთა რიგს ბოლო არ უჩანდა. ფუნჯთან ერთად კალამსაც უქებდნენ ნიჭიერ ახალგაზრდას, რომლის საგაზეთო წერილები ხელოვნებაზე პერიოდულად იბეჭდება სხვადასხვა გამოცემაში. მას პირადი ნაცნობობა და ურთიერთობა აქვს სახელოვან თეატრალებთან, რეჟისორებთან, პოეტებთან და ხელოვნების სხვა დარგის გამოჩენილ ადამიანებთან.

გზა დავულოცოთ შოთას თავის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში. დაბოლოს, მკითხველის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ამ ლამაზი საღამოს (გამოფენის) მოწყობისთვის.

**ანტონ გეგეშიძე**
**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი**

## არსებობენ სასწაულმოქმედი მასწავლებლები

**თეა ბაბუნაშვილი**

იმ ღონისძიების თემა თავად მოსწავლეებმა შეარჩიეს. ილია ჭავჭავაძის ''კაცია ადამიანი?!'' თავისი გენიალურობის გამო გამოარჩიეს და დღევანდელობისთვის მისი მორგება, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებიათ. თამაზ ნუცუბიძემ დიდი ჯიხაიშის № 1 საჯარო სკოლაში სპექტაკლი დადგა. რეჟისურა, მუსიკალური გაფორმება, დეკორაცია ყველა თეატრალური პასაჟი მისი გახლდათ. მხატვრულად გაფორმებაში სკოლის ხელოვნების მასწავლებელი, იაგო ჩხიკვაძე დაეხმარათ. გრიმზე კი, ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა მანანა ჭეიშვილმა იზრუნა. გვერდით ედგა და ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფდა ინფორმატიკის პედაგოგი მაია კახაძე. დირექტორზე, მანანა ხაზალიაზე საუბარიც არ არის, ''ის გახლდათ ადამიანი, რომელიც ყოველთვის ყველაფერს აკეთებს ნებისმიერი იდეის განსახორციელებლად, ასევე სასწავლო ნაწილის გამგე, თინათინ ჩუბინიძე მუდამ პედაგოგების გვერდით დგას''. _ გვაცნობს ხელმძღვანელებს თამაზ ნუცუბიძე.

რაც შეეხება სპექტაკლს, თამაზ მასწავლებელმა საკუთარი გამოცდილება აქაც ისე მიიტანა მოსწავლეებამდე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მიტანას ახერხებს. ყველა მონაწილეს გაათავისებია როლი, რომელშიც პატარა მსახიობებს ''შესვლა'' უნდა მოეხერხებიათ. ამიტომ, ყველამ განსაკუთრებულად კარგად მოირგო თუ მოერგო გმირს, რომელსაც განასახიერებდა. თუმცა, უსამართლობა იქნება, არ აღვნიშნოთ, რომ ''ლამაზისეული'' დიდი თეატრების დიდი სცენების ღირსეულ მსახიობებსაც აღფრთოვანებით დააკვრევინებდა ტაშს. ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვის 28 წლისთავს ეს სპექტაკლი დიდი ჯიხაიშის №1 საჯარო სკოლის მეცხრეკლასელებმა მიუძღვნეს. საქმემ დაიჭირვა და მხოლოდ ''ხორეშანს'' გა-



ნასახიერებდა ამავე სკოლის მე-6 კლასის ერთი მოსწავლე. წარმატებული მასწავლებლის კიდევ ერთი ღონისძიება სკოლის მორიგი წარმატების ნუსხაში ჩაეწერა. არა მარტო პროფესიაში, თამაზ ნუცუბიძეს არაერთი მიღწევა თეატრალურ ხელოვნებაშიც ჰქონია. იმიტომ გახლავთ ეს სფერო მისთვის ესოდენ ახლობელი, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობაში მაშინდელი ლენინის რაიონის, ახლანდელი ნაძალადევის სახალხო თეატრში წამყვანი მსახიობი გახლდათ. აწ გარდაცვლილმა რეჟისორმა, ნელი ჭანტურიამ არ დაჰკარგა მისი ნიჭი. განსაკუთრებული სახეები აკაკი გეწაძის ''რუმინულ კარადასა'' და მარიკა ბარათაშვილის ''ფრთხილად სასიკვდილოაში'' შექმნა. ამიტომ, მის მშობლიურ სკოლაში, სადაც 10 წელი, როგორც მოსწავლემ, 28 კი, როგორც პედაგოგმა გაატარა, არც სტუდენტობისდროინდელი ამ გატაცების საქმედ ქცევა ეშურება. ''სკოლაში, 1887 წლიდან განათლების ლამპარს რომ ანთებს დიდ ჯიხაიშში, მერხის მტვერი, ხმელი ფოთოლიც მიყვარს. აქაურობასთან ჩემი ცხოვრების 38 წელი მაკავშირებს. აქაურობა დედასავით და სამშობლოსავით ძვირფასია ჩემთვის''. _ ამბობს იგი და გრძნობს, ამ სიტყვების ზურგს მხოლოდ გულწრფელობა რომ უმაგრებს.

რაც შეეხება დიდი ჯიხაიშის № 1 საჯარო სკოლას, მზრუნველობა დერეფნებამდე, საკლასო ოთახებამდე ეტყობა. აღნიშნეს კიდეც სტუმრად მისულმა რაიონის ხელმძღვანელებმა, კულტურის სამსახურისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებმა, რომ ეს არის სკოლა სოფელში, რომლისგანაც ქალაქის ფეშენებელურმა სკოლებმაც უნდა აიღონ მაგალითი, მისი პედკოლექტივის მუყაითობის გამო. იმ ღონისძიებების და იმ სკოლის ნახვის შემდეგ, არ შეიძლება ისევ არ აღვნიშნო, როგორც საკრებულოს სოციალური კომისიის თავმჯდომარე გოგი ლეჟავამ აღნიშნა: ''არ არსებობს სასწაულმოქმედი რეფორმა, არსებობენ სასწაულმოქმედი მასწავლებლები''.

## დავუმეგობრდეთ ერთმანეთს!







შპს სკოლა ''ცოდნა'' რაიონში ერთ-ერთი წარმატებული და გამორჩეული სკოლაა თავისი ინტელექტითა და ცოდნის დონით. მოსწავლეები და პედაგოგები მეგობრულ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, სწორედ მეგობრობით აღწევს პედაგოგები კარგ შედეგს.

''მეგობრობაში ასაკობრივი ზღვარი არ არის''. _ ასე თვლის ამ სკოლის მოსწავლეები.

მეექვსე კლასის ხელმძღვანელმა როზეტა გეგელიამ და მოსწავლეებმა: ანრი ადეიშვილმა, გიორგი ბოლქვაძემ, მარიამ გარუჩავამ, ლიზი გაბუნიამ, დათო დუნდუამ, მარინე ნადირაძემ, გურამ შანიძემ, ლუკა ტუღუშმა, ლუკა ჩაჩუამ გადაწყვიტეს დამეგობრებოდნენ მათზე უმცროსებს, კერძოდ, ახალსოფელთან არსებული საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს.

მოსწავლეები ტკბილეულითა და საჩუქრებით ეწვივნენ პატარებს. უჩვენეს სპექტაკლი ''ტომ სოიერი''. მთავარ როლში მარი გარუჩავა და ლუკა ტუღუში იყვნენ. მოსწავლეებს აპლოდისმენტებით ამხნევებდნენ პატარები, მათ ძალიან მოეწონათ სპექტაკლი.

ბაღის აღსაზრდელებიც მომზადებულები დახვდნენ სტუმრებს. ისინი მოამზადეს მასწავლებლებმა: თიკო ლაშქარეიშვილმა და მირანდა მიგინეიშვილმა. პატარები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლექსების წარმოთქმაში, იმღერეს, იცეკვეს. წარმოადგინეს სკეტჩი ''გვიყვარდეს ერთმანეთი''. მთავარ როლს თამაშობდნენ სერგო კალაძე და ნინი წიქვაძე. ლექსები წარმოთქვეს: ანამარია და ბარბარე ანდრიაძეებმა, ლუკა ხურციძემ, მარი მეფარიშვილმა, ტასო ჟორჟოლიანმა, ამიკო და ნანიტა მაჭარაძეებმა, მარი ადეიშვილმა, მერაბ ჯულაყიძემ, ჯაბა ფახურიძემ, ლიკა ფახურიძემ, ამიკო ჯულაყიძემ, ნუგო ფახურიძემ, ნინი ადეიშვილმა, დათო ლოსაბერიძემ, ტუჩა ბახტაძემ, ელენიკო ბაღდავაძემ, მარი შენგელიამ, თემო შენგელიამ, ლუკა ორაგველიძემ, ვეფხია წიქვაძემ, ვეფხია ჭაფოძემ, თეკლა და გურამ ადეიშვილმა.

დასასრულს ითამაშეს და ტკბილეული მიირთვეს. წასვლისას ბავშვებს გული დასწყდათ, რომ ასე სწრაფად გავიდა ერთი ლამაზი დღე. საფუძველი ჩაეყარა დიდ, სათუთ, ლამაზ გრძნობას, რასაც მეგობრობა ჰქვია.

სახლში მისულმა ლიზი გაბუნიამ დედას უამბო პატარებთან გატარებული დღის შესახებ. აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ლიზი, ისე მოეწონა პატარებს და მათთან გატარებული დრო. დედამ, ნინო ხუჭუამ გადაწყვიტა, პატარებისთვის გაეკეთებინა საჩუქარი. ქალბატონმა ნინომ პიანინო უსახსოვრა პატარებს.

ქალბატონო ნინო, ბავშვთა მზრუნველი სახლი ''ნანას'' აღსაზრდელები, მმართველი ნინო ნიკურაძე, პედაგოგები თიკო ლაშქარეიშვილი და მირანდა მიგინეიშვილი დიდ მადლობას გიხდით. ღმერთმა ამრავლოს თქვენისთანა დედები.

**ნინო ნიკურაძე**
**ორგანიზატორი**

## ''ვაჰ წელიწადის 4 დრო''

**ნათია ნაცვლიშვილი**



№ 1 საჯარო სკოლის პირველკალსელებმა ულამაზესი სამყარო შექმნეს თავიანთ საკლასო ოთახში. პირველი ა კლასის ხელმძღვანელის, პედაგოგ ლია კაკულიას მოსწავლეები ამჯერად წელიწადის ოთხი დროს თავისებურებებზე მსჯელობდნენ. პატარებმა თავიანთი ნამუშევრებიც წარმოადგინეს. მშობელთა დახმარებით შექმნილი შესანიშნავი დეკორაციებით ლამის ნამდვილი გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი მოიყვანეს. სხარტად, ლამაზი ლექსებით ამკობდნენ წელიწადის ოთხივე დროს პატარები, ბაასობდნენ ერთმანეთთან წელიწადის დროები და საბოლოო დასკვნამდეც მივიდნენ: ყველა მათგანი თავისებურად მშვენიერია!

მოსწავლეებმა წერითი სამუშაოც შეასრულეს. ეკრანზე წელიწადის ოთხივე დროის ამსახველი კადრებიც იქნა ნაჩვენები, პატარები საოცარი ენერგიითა და ემოციით იყვნენ დამუხტულნი. შესაშური იყო მათი აქტიურობა, მრავალ თაობათა აღმზრდელი პედაგოგი მათ არასოდეს აძლევს მოდუნების საშუალებას და ცოდნის უკიდეგანო სამყაროსაკენ მიუძღვის.

გაკვეთილი ინტეგრირებული იყო: მუსიკის პედაგოგმა რუსუდან ტყეშელაშვილმა მოსწავლეები კლასიკური მუსიკის სამყაროშიც ამოგზაურა. გენიალური ანტონიო ვივალდის მუსიკა _ წელიწადის დროები გაჟღერდა და ოთხივე დრო შესანიშნავად ამოიცნეს პატარებმა, მეტიც, თითოეულმა მათგანმა კარგად იცის, რომ გაზაფხულის მელოდია ფლეიტაზე, ზაფხულის _ ვიოლინოზე, შემოდგომის _ კონტრაბასზე, ზამთრისა კი, ლიტავრებზე სრულდება. სიმფონიური ორკესტრის სხვა საკრავებიც დაასახელეს პატარებმა.

გაკვეთილს მაღალი შეფასება მისცა სკოლის დირექტორმა ხათუნა ფაილაძემ, მან იუბილარ პედაგოგს, ლია კაკულიას დაბადების დღე მიულოცა და მიმართა:

''დიდი მადლობა, ლია მასწავლებელო, ნაყოფიერი, ერთგული შრომისათვის, ვთხოვ უფალს, ყველა ჩემს პედაგოგს ისე გაევლოს წლები სკოლისა და მოსწავლეების ერთგულებითა და სიყვარულით, როგორც თქვენ გაიარეთ''.

ვუერთდებით ყველა კეთილ სურვილს და ლია მასწავლებელს ჯანის სიმრთელეს და დიდ ენერგიას ვუსურვებთ, რადგან კიდევ ბევრი თაობა ჰყავს დასაფრთიანებელი...

# კონსტანტინე თეოხარის ძე მკურნალი

კონსტანტინე მკურნალი დაიბადა 1856 წელს სოფელ მარტვილში (ამჟამად მარტვილის რაიონი), გაქართველებული ბერძენის ოჯახში. მამამისი – ექიმი თეოხარი იყო საბერძნეთიდან გადმოსახლებული პოლიტიკური ემიგრანტის, ექიმ ხალამან კორნარის უფროსი ვაჟი, დედამისი – იმ დროს ცნობილი როსტომ ჭადაგინიძის ქალიშვილი. ბერძნული გვარი "კორნაროს" თეოხარის შთამომავლობამ "მკურნალით" შეიცვალა, რაც დაკავშირებული იყო მის საექიმო-სამკურნალო მოღვაწეობასთან. კონსტანტინემ პირველდაწყებითი განათლება მარტვილის სასწავლებელში მიიღო, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისში. 1880 წელს კონსტანტინე მასწავლებლად დანიშნეს ქ. ფოთში, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა 1883 წლამდე.



1883 წლიდან კონსტანტინე თეოხარის ძე (კორნარო) მასწავლებლად და ზედამხედველად იქნა გამოგზავნილი კულაშში. აქ იგი პედაგოგიურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა 1902 წლამდე. უდიდესი ამაგი დასდო კონსტანტინე მკურნალმა კულაშში ყოფნის პერიოდში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობას. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და თაოსნობით კულაშში აიგო ახალი სასკოლო კაპიტალური შენობა, რომლის მშენებლობა 1895 წელს დასრულდა. ეს სასკოლო შენობა დღესაც ამაყად დგას სამტრედიიდან ხონისკენ მიმავალ გზაზე.

კონსტანტინე თეოხარის ძე მკურნალის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობა სოფელ კულაშში მეტად ნაყოფიერი იყო. 1883-1902 წლებში კონსტანტინე განაგებდა კულაშში, როგორც ახლად დაარსებულ ორკლასიან სასწავლებელს, აგრეთვე "ჯვარცმის" მაშინდელ სკოლასაც. მისი ენერგიული მოღვაწეობის შედეგად ეს სკოლა ოთხკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა. მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა ასევე ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი, სადაც ფეიქრობასაც ასწავლიდნენ. დიდი წვლილი მიუძღვის კ. მკურნალს ებრაელთა სწავლაში ჩაბმის საქმეში. აი, რას გადმოგვცემს მის შესახებ მკურნალის ყოფილი მოსწავლე, შემდეგ აფხაზეთის ასსრ მეანგინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ი. ს. ელიგულაშვილი: "პატივცემული კონსტანტინე მკურნალის დიდი ახსნა-განმარტებითი რჩევის შედეგად, 1900 წელს სწავლაში ჩავებით 6 ებრაელი, რომელთაგან ხუთმა მშობლების ზეგავლენით იმავე წელსვე დაანება თავი სკოლაში სიარულს, მხოლოდ მე შევძელი ამ სკოლის დამთავრება, ისიც ჩემი მარადმოსაგონარი პედაგოგის – კონსტანტინე ბატონის ხელშეწყობით".

მომდევნო ეტაპზე ებრაელმა მოსახლეობამ შეიყვარა კონსტანტინე მკურნალი. მოღვაწეობისა და პატივისცემის გამო კულაშელები სკოლას მკურნალის სკოლას უწოდებენ.

1902-1906 წლებში კონსტანტინე მკურნალი გადაჰყავთ აჭარაში, სადაც ის დიდ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების განათლების თვალსაზრისით. კულაშში მოღვაწეობის პერიოდში მკურნალმა გარს შემოიკრიბა მოწინავე პედაგოგები: გრიგოლ, ანდრო და ალექსანდრე ბახტაძეები, შალვა და იაკობ ფანცხავები, ნიკო მკურნალი.

კონსტანტინე მკურნალი იყო არა მარტო კარგი პედაგოგი, არამედ შესანიშნავი ავტორიტეტული პიროვნებაც. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი მდინარე ცხენისწყლიდან სარწყავი არხის გაყვანისა. ეს არხი ამჟამადაც მოქმედებაშია და კარგ დახმარებას უწევს სოფელ ნაბაკევის მოსახლეობას.

კონსტანტინე მკურნალმა მის მიერ დაარსებულ სკოლაში ჩამოაყალიბა მგალობელთა გუნდი, რომელიც უფასოდ ემსახურებოდა მოსახლეობას. სკოლის ვიოლინოს გუნდში თავად კონსტანტინე უკრავდა.

1906-1908 წლებში მკურნალი იმერეთის საეპარქიოს სკოლების მეთვალყურის, ცნობილი ისტორიკოსის, თედო ჟორდანიას განკარგულებით შორაპნის მაზრის სოფელ ალისუბნის სასწავლებელში იწყებს მასწავლებლობას. მისი ინიციატივით ამავე წლებში მკურნალმა აჭარის ორკლასიანი სასწავლებელი გადააკეთა ხუთკლასიან სასწავლებლად. აქვე გახსნა საავადმყოფოც (მასწავლებელ დარსაველიძის ცნობით).

1908 წელს მკურნალი ქუთაისში გადავიდა სამუშაოდ. მან გახსნა კერძო სასწავლებელი, რომელსაც კერძო გიმნაზიას უწოდებდნენ. გიმნაზიაში მასწავლებლად მკურნალმა მოიწვია ქუთაისის გიმნაზიასა და სასწავლებლებში მომუშავე მაღალკვალიფიციური პედაგოგები: დიმიტრი უზნაძე (შემდეგ აკადემიკოსი), გრიგოლ ნათაძე (პროფესორი), ლ. დარჩაშვილი (რევოლუციონერი), ლეო ნათაძე, ჯაჯე (კონსტანტინე) ჯორჯიკია და სხვა ცნობილი პედაგოგები.

კონსტანტინე მკურნალს გიმნაზიაში შესანიშნავად ჰქონდა დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე. ის საგანგებოდ ზრუნავდა გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეებზე, ყოველნაირად უწყობდა მათ ხელს სტიპენდიების დანიშვნაზე.

კონსტანტინე მკურნალი 1912 წლის ზაფხულში ხელმძღვანელობდა გურია-სამტრედიასა და იმერეთის მასწავლებელთა კურსებს.

ქ. ქუთაისში კონსტანტინე მკურნალის საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობა უაღრესად მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო. კონსტანტინე თეოხარის ძე მკურნალი გარდაიცვალა 1913 წლის 20 ივნისს.

***სალომე კვანტალიანი***
***დაბა კულაშის საჯარო***
***სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე***

## ეროვნული არქივი 95 წლისაა

უდიდესი მიღწევა იყო თავის დროზე საქართველოში ეროვნული არქივის დაარსება.



ყოველდღიურად ხალხმრავლობაა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს სამტრედიის წარმომადგენლობაში.

ჩვეული სითბოთი, ყურადღებით ეგებება თანაქალაქელებს ქალბატონი ნატო მიქაძე, რომელიც სისტემაში 1991 წლიდან მუშაობს და ადგილობრივ მოსახლეობას ემსახურება.

ეროვნული არქივის იუბილეს ვულოცავთ ქალბატონ ნატოს, არქივში დასაქმებულთ, რუდუნებით რომ ქმნიან და უფრთხილდებიან ჩვენი ერის ისტორიას.

პროფესიულ წარმატებებს ვუსურვებთ მათ.

***ლევან გაბეჩავა***

# "ვეფხისტყაოსნის" სამყაროში

**ნათია ნაცვლიშვილი**

"ჩემო სამშობლოვ, ჩემო მთა-ველო, რა იქნებოდი ურუსთაველოდ?" – გიორგი ლეონიძის ამ სიტყვებით დაიწყო მე-11 საჯარო სკოლაში შემაჯამებელი გაკვეთილი IVპირველი კლასის პედაგოგმა, თამარ ხვიჩიამ. ამ გაკვეთილით შეჯამდა და დასრულდა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი გაკვეთილების ციკლი.

კლასის საათის მიზანი, ქალბატონი თამარის თქმით, კითხვის ტექნიკის ჩამოყალიბება და ლოგიკური აზროვნების განვითარებაა. ყოველ ხუთშაბათს მოსწავლეები იგროვებდნენ ცოდნას ქართველთა ამ ხელიხელსაგოგმანებელი საუნჯის შესახებ, ბავშვებს ძალიან მოეწონათ საბავშვო ვეფხისტყაოსანი, ისინი გაეცვნენ რუსთაველის ბიოგრაფიას, შემდეგ ნოდარ დუმბაძის ტექსტს "ჩემი რუსთველი". კლასის საათის შემდეგი თემა ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების გაცნობა იყო, გაეცვნენ ამ უკვდავი პოემის სხვადასხვა მხატვრულ გაფორმებას. შეისწავლეს ორი სტროფი: ნახეს უცხო მოყმე ვინმე", შეისწავლეს აფორიზმები ვეფხისტყაოსნიდან. მოსწავლეებს აღეძრათ სურვილი, კიდევ მეტი სტროფი ესწავლათ. ამან კი ის შედეგი გამოიღო, რომ თავადაც დაასურათხატეს ვეფხისტყაოსანი, გადაწერეს გარკვეული სტროფები. მათი საუკეთესო ნახატები კი პედაგოგებმა გამოავლინეს. ნამუშევრები სკოლის ნორჩი მხატვრების დაფაზე გამოფინეს. ბოლოს ნამუშევრები ერთ წიგნადაც აკინძეს. ნიჭიერი ბავშვების მოსმენა შთამბეჭდავი იყო. მოსწავლეებმა ასევე ბრწყინვლედ წარმოადგინეს ქართველ პოეტთა ლექსები რუსთაველზე.



პედაგოგმა ბავშვები ჩვენი ქალაქის ქუჩებშიც გაიყვანა და სამახსოვრო ფოტოები რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შოთა რუსთაველის ძეგლთანაც გადაიღეს. თვალსაწიერი მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკაში კიდევ უფრო გაიფართოვეს, სადაც მათ მეგზურობა ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა გაუწიეს. აჩვენეს როგორც "ვეფხისტყაოსნის" სხვადასხვა გამოცემა, გააცვნეს ასევე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

მოსწავლეთა და პედაგოგთა მიერ გაწეული შრომა დადებითად შეაფასა სკოლის დირექტორმა ლენა ხაჟალიამ და მოსწავლეებს წარმატებები უსურვა.

თამარ ხვიჩია, კლასის დამრიგებელი:

"ამით დავასრულეთ რუსთაველისადმი მიძღვნილი 5 კლასის საათი, მაგრამ ჩვენ წლის ბოლომდე გავაგრძელებთ "ვეფხისტყაოსნის" სტროფებისა და აფორიზმების შესწავლას, რათა პოემაში ასახული მეგობრობა და სიყვარული", ლხინში ზომიერება" და "ჭირში გაუტეხლობა" ქვაკუთხედად დაედოს მოსწავლეთა ღირსეულ პიროვნებებად ჩამოყალიბების რთულ პროცესს.

მჯერა, ჩემი მოზარდები, ასაკის მატებასთან ერთად, ყოველ წელს სხვა თვალით შეხედავენ და სხვანაირად აღიქვამენ "ვეფხისტყაოსნის" სიბრძნეს" რომელიც იმედსა და რწმენას გვინერგვას ყველას: "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია".



# წიგნი წიგნს





ნაირა ქორიძის მესამეკლასელებმა წიგნი გამოსცეს. ეს მეთერთმეტე საჯარო სკოლაში მოხდა. მასზე თითქმის მთელი წელი მუშაობდნენ, ინფორმაციას აგროვებდნენ და შემდეგ, ერთად აკინძული მშობლებისა და პედაგოგების სამსჯავროზე გამოიტანეს. მათთან ერთად მთავარი სტუმარი, პოეტი აკაკი თევზაძე ჰყავდათ, რომელმაც საკუთარი საბავშვო ლექსები წაუკითხა მათ. თუმცა, ღონისძიების სტუმრებმა მხოლოდ ამას არ დააჯერეს პოეტი და საკუთარი შემოქმედებიდან არაერთი ლამაზი სტროფი წააკითხეს.

საგანგებოდ მორთულ საკლასო ოთახში საკუთარი წიგნის პრეზენტაცია საინტერესო სანახაობად აქციეს. ქართული ენის სახელმძღვანელოს პირველივე თავს მისმა ავტორებმა "წიგნი" უწოდეს. მასში თავმოყრილია საინტერესო მასალა სხვადასხვა ჟანრის წიგნების, ქართული ანბანის შესახებ. აგრეთვე, გამოცანები და გამონათქვამები, რომლებიც წიგნს ეძღვნება. გარდა ამისა, ინტერნეტში მოიძიეს მასალები და პედაგოგ ნაირა ქორიძის დახმარებით ამ ყველაფერს თავი მოუყარეს. "საგაზაფხულო არდადეგებზე ბავშვებს ტელევიზიით ნანახი ჰქონდათ ქეთი ლაზარიშვილის მიერ შექმნილი ხელნაწერი მინიატურული წიგნი "ქართული ანბანი". გაკვეთილზე გაჩნდა კითხვები, არსებობს თუ არა ყველაზე დიდი, ყველაზე სქელი, ლამაზი, ფორმით უცნაური წიგნები."– ერთი კლასის ღონისძიება პედაგოგ ნაირა ქორიძის ამ სიტყვებით დაიწყო. შემდეგ კი იგი მოსწავლეებმა გააგრძელეს და ბოლოს ტაშიც დაიმსახურეს საქებარი სიტყვებით, რომ კარგი და ჭკვიანი ბავშვები არიან, რომ წიგნის ფასი ნაირა მასწავლებელმა ასწავლათ მათ და წარმატებული შედეგიც არ დააყოვნებს, თუ მომავალშიც ასე იბეჯითებენ.

სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეემ, მაიკო სახვაძემ განსაკუთრებით შეაქო ისინი: "მესამე კლასელებისთვის ამდენი ინფორმაციის მოკრება და შესწავლა პატარა საქმე არ არის. გისურვებთ, ის, რაც ამ პროექტით შეისწავლეთ, გაგეთავისებინოთ. თქვენმა ნაირა მასწავლებელმა მწერალი ოტია იოსელიანი მოიწვია ერთხელ სკოლაში, მან პატარა წერილი დაგვიტოვა, რომელშიც წერია: "როგორმე მიიყვანეთ ბავშვები წიგნამდე, იქ კი მათ გენიოსები დახვდებიან და თავად გაუკვალავენ გზას." ნაირა მასწავლებელმა ეს შესძლო!"

საქებარ სიტყვებს არც სხვები იშურებდნენ იმ პატარების მიმართ, რომლებმაც წიგნს წიგნი მიუძღვნეს.

***თეა ბაბუნაშვილი***

# „ატომის წლებში პოეზია სულ აირია“

ნათია ნაცვლიშვილი

***„ფიზიკოსები და ლირიკოსები ქმნიან გარემომცველი სამყაროს იერსახეს“ _ ბრძანა აინშტაინმა. მე-2 საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგი მზია კირთაძე არა და არ მოასვენა გენიალური ფიზიკოსის ამ სენტენციამ, ამიტომაც, თავის კოლეგასთან, ლალი კილაძესთან ერთად გადაწყვიტა, მოემზადებინა ღონისძიება „ფიზიკოსები და ლირიკოსები“. მასში მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასელები მონაწილეობდნენ. ეს არ იყო ტრივიალური ღონისძიება, ეს იყო მართლაც შესანიშნავი სასკოლო სპექტაკლი, ეს იყო ნიჭის, ინტელექტის ზეიმი, მეცნიერებისა და სულიერების საუკეთესო თანხვედრა.***

მისმა აღმატებულება ფიზიკამ (ირაკლი ჩაჩუა), რომლის გარეშეც წარმოუდგენელია XXI საუკუნის ტექნიკური მიღწევები, მუხლი მოუყარა ცისფერკაბიან ულამაზეს ლირიკას (ეკატერინე სოხაძე) და გალაკტიონის შესანიშნავი სტროფები წაუკითხა: „ღამეს ელვარე დღე შეუცვლია თქვენი თვალების ღრმა სიბნელეთი... ამნაირ გრძნობას ხომ შეუძლია დაიმორჩილოს მთელი ხმელეთი“.

საღამო მიჰყავდათ ნინო კოხრეიძესა და ანი ახობაძეს.

სცენაზე წელში მოხრილი სასკოლო ფიზიკაც გამოვიდა და დაიჩივლა, სასკოლო რეფორმის წყალობით ისე დავილიე და დავპატარავდი, ისე შემკუმშეს, ნივთიერ წერტილს დამამსგავსესო. გენიალური რეჟისორის კლასიკად ქცეული „შერეკილებიდან“ ცათმფრენმა სასკოლო ღონისძიების სცენაზეც გადმოინაცვლა. პოეზიამ ბრძანა „სული საზღვრებს გადასცდება ფრენით“, ამიტომაც გვჭირდება ის ცათმფრენი, რომელიც სამუდამოპატიმრობა მისჯილმა ფიზიკოსმა ციხიდან თავის დასაღწევად შექმნაო. და აი, ცათმფრენიც სცენაზე გაჩნდა. დაისვა ერთაოზის გაუხუნარი შეკითხვაც: შენ გჯერა, რომ ადამიანი გაფრინდება? „ავიაციამ“ ერთაოზს აკადემიური პასუხი გასცა: „ამწევი ძალის შესწავლა გახდა საფუძველი, ზღაპრებში ნაოცნებარი მფრინავი ხალიჩა რეალობად ქცეულიყო. დღეს აღარავის უკვირს თვითმფრინავების ზებგერითი სიჩქარით მოძრაობა“. ფიზიკა



ხომ ბუნების მოვლენების შემსწავლელი ერთ-ერთი და ძირითადი მეცნიერებაა. ფიზიკური მოვლენები ყველაზე პირველადი და ძირითადია, ბუნების მოვლენებს შორის. ფიზიკა არსებობს და ვითარდება არა მარტო თავისთვის, არამედ სხვათათვისაც. უაღრესად მნიშვნელოვანია ფიზიკის მიღწევათა გამოყენება მედიცინაში, გეოლოგიაში, კოსმოსის ათვისების საქმეში, ასტრონომიაში, ავიაციაში, ნავიგაციაში და ა. შ.

მოსწავლეებმა ასევე ისაუბრეს ატომის ბირთვის გახლეჩის შესახებ და აღნიშნეს: „ატომური ენერგიის გამოყენებამ რევოლუცია მოახდინა, არა მხოლოდ მეცნიერებასა და ტექნიკაში, არამედ აზროვნებაშიც. ადამიანის ცხოვრებაში ატომი შემოიჭრა. ბირთვის გახლეჩისას გამოთავისუფლებულ უზარმაზარ ენერგიას შეიძლებოდა, ოქროს ხანა მოეტანა კაცობრიობისათვის, და შეიძლება, აპოკალიფსურ იარაღადაც ქცეულიყო, სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა თავის დროზე პოეტ ირაკლი აბაშიძეს: „ატომის წლებში პოეზია სულ აირია“, და იქვე: „რა, რა დავღუპეთ პოეტებმა ჩვენი ლირკით? თუ არ აშენა, ჩვენმა ლოცვამ, რა დაანგრია?“



საბოლოოდ შეთანხმდნენ იმაზე, რომ ამ ქვეყნის ბორბალს არა მარტო ფიზიკოსები, არამედ სხვა პროფესიის ადმიანებიც მართავენ, რომ ურთულესია, ჩასწვდე სამყაროს განვითარების პროცესებს. ადამიანის გონება ბევრს ჩასწვდა და კიდევ ბევრი დარჩა შეუცნობელი.

საკმაო დრო მოსწავლეებმა ცნობილ მეცნიერთა ხუმრობებს დაუთმეს: აინშტაინმა ჩარლი ჩაპლინს მისწერა: თქვენი ფილმი „ოქროს ციებ-ცხელება“ ყველასათვის გასაგებია, თქვენი ყველას ესმის. ჩარლიმ უპასუხა: მოხიბლული ვარ თქვენი ფართობითობის თეორიით, იგი არავის არ ესმის, თქვენ გენიალური ადამიანი გახდითო.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 97 წლის იუბილესაც გამოეხმაურნენ და მის კედლებში მოღვაწე მეცნიერები გაიხსენეს. ცნობილი ფიზიკოსები: ევგენი ხარაძე, გივი ხუციშვილი, მათე მირიანაშვილი, ალეკო იმხნელი, ჯუმბერ ლომინაძე, ცნობილი ფილოლოგები: აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, ლადო კვაჭაძე, სიმონ ჯანაშია, მზექალა შანიძე და სხვები.



არც ის გამოჰპარვიათ მხედველობიდან, რომ პლანეტების მოძრაობამ გამოხმაურება ჰპოვა „ვეფხისტყაოსანში“: „მო, მთვარეო, შემიბრალე...“ შესანიშნავად შეუსაბამეს მეცნიერულ მსჯელობას გალაკტიონის, ვაჟას, ანა კალანდაძის, მურმან ლებანიძის პოეტური მარგალიტები. და ბოლოს, იდეალური დასკვნა გამოიტანეს: „კაცობრიობის სულიერი პოტენცია ხომ ყველაზე ძლიერ სწორედ ამ ორ სფეროში: ხელოვნებასა და მეცნიერებაში ვლინდება“ ამ ორი სფეროს ჰარმონიულობა კი მშვენივრად გამოიხატა ქრისტეფორე მგალობლიშვილის ცნობილ გამონათქვამში:

„სიგრძე უდრის სიყვარულს!
სიგანე _ რწმენას!
სიმაღლე _ იმედს!“

_ ამ იმედიანი და ამაღლებული განწყობილებით დაგვემშვიდობნენ. მოსწავლეებმა ასევე შეასრულეს მუსიკალური ნომრები, იცეკვეს და პედაგოგებიც აცეკვეს.

„ეროვნული სასწავლო გეგმა გვავალებს, მოვახდინოთ საგანთა შორის ინტეგრაცია, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს პასუხობდა დღევანდელი გაკვეთილი, უმაღლესი ხარისხით, ამისთვის უდიდესი მადლობა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. ქალბატონი მზია ჩვენი მუნიციპალიტეტის ფიზიკოსთა საზოგადოების მეტრი, სიამაყე და იმედია“. _ გვითხრა ფიზიკოსმა ციური ხურცილავამ, № 1 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა № 2 სკოლაში.

რატომ ხდება რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ასაკოვანი მასწავლებლების აქტიურობა უფრო შეინიშნება, ვიდრე ახალგაზრდების? ამ კითხვით მივმართეთ ალექსანდრე თევზაძეს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოადგილეს, პედაგოგს. ალესანდრე თევზაძე: „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, სკოლაში როგორც საატესტატო, ისე ეროვნული გამოცდების შედეგებმა აჩვენა, რომ ფიზიკაში ძალიან დაბალი დონეა, მაგრამ ისეთი პედაგოგები, როგორც ქალბატონი მზია კირთაძეა, აღწევენ წარმატებებს.

მე მინახავს ამ ქალბატონის გაკვეთილები, ეს გაერთიანებული გაკვეთილი იყო შესანიშნავი, არ მინდა ვისაუბრო ზოგიერთი ახალგაზრდა მასწავლებლის ნაკლებ პასუხისმგებლობაზე. ვსარგებლობ შემთხვევით და ხაზს ვუსვამ ამ პედაგოგების მაღალ პასუხისმგებლობასა და პროფესიონალიზმს. პროფესიონალიზმი არის გადამწყვეტი ყველა საქმეში. სამწუხაროდ, ბოლო წლებში იყო გაურკვევლობა, პედაგოგიური განათლების არმქონე პირები შედიოდნენ გაკვეთილებზე, მერე პრაქტიკას ღებულობდნენ და იწოდებოდნენ მასწავლებლებად, ვერ აღწევენ წარმატებას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შემოტანით აქცენტს იმაზე აკეთებს, პედაგოგიური განათლების მქონე პიროვნება მოდიოდეს სკოლაში და აღწევდეს წარმატებას. მშურს ამ პედაგოგთა ენერგიის, ისინი დაუღალავად მუშაობენ. სერტიფიცირების პროცესი რომ დაიწყო, ბევრმა პედაგოგმა არ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ შემდეგ გამოვლინდა, რომ ასეთი პედაგოგები უფრო აღწევენ წარმატებებს და აქტიურობენ, ვიდრე ზოგიერთი სერტიფიცირებული, ანუ ყურადღება ენიჭება არა მარტო თეორიულ ცოდნას, არამედ პრაქტიკულსაც“.

ლალი კალაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:

„ფიზიკა არის საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ამიტომ ზოგჯერ ამ საგნის აღქმა ბავშვებისათვის ძნელი და მოსაწყენია, მზია მასწავლებელი შეეცადა და თქვენც, ალბათ, ამაში დარწმუნდით, ეს რთული მოვლენები ცხოვრებისეული ბუნებრივი ფაქტებით აეხსნა და ძნელად აღსაქმელი არ ყოფილიყო. ჩვენი მიზანიც ის იყო, გვეჩვენებინა რომ ჰუმანიტარებიც, მწერლებიც, პოეტებიც არა ვართ დაშორებულნი ასეთ რთულ საგნებს.

ღონისძიებას დადებითი შეფასება მისცა ასევე სტუმრად მოწვეულმა მე-12 საჯარო სკოლის პედაგოგმა, ფილოლოგმა მზევინარ ბაღდავაძემ, რომელიც ლალი კილაძის პედაგოგია: „უჩვეულო განწყობით მივედი, ვთვლიდი, რომ ღონისძიება იქნებოდა საინტერესო და ასეც მოხდა. ღონისძიებას ამზადებდა ორი შესანიშნავი პედაგოგი, მზია კირთაძე და ლალი კილაძე. ლალი ჩემი მოსწავლე იყო. დაამთავრა მ-12 სკოლა და პედაგოგიური მოღვაწეობა ჩვენს სკოლაში დაიწყო. მახსოვს მისი ღია გაკვეთილები, მისი შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება, მართლაც არაჩვეულებრივი გამოვიდა ღონისძიება“.

## ერთი სკოლის ისტორიიდან

# ბავშვობის მოგონებების ნავსაყუდელი

***ადგილი, საიდანაც იწყება ყოველი ადამიანის ანი და ჰოე. მზრუნველ პედაგოგთა ლეგენდარული თაობა, თანაკლასელთა აურზაურით მოგვრილი სიხარული, შვება ღირსეული წარსულის მქონე სკოლის მოსწავლეობისა. წარმოუდგენელია, მეხსიერებიდან წარუშლელი დღეების დავიწყება, რომლის სურნელი მთელი ცხოვრების მანძილზე თან გახლავს, გეხმარება, გზას გინათებს და იმ მოგონებებში გძირავს, ერთ დროს მერხთან მჯდომს რომ რუტინულ ყოველდღიურობად წარმოგედგინა.***

***145 წლის ქალაქ სამტრედიის ისტორიაში, სადაც მემატიანეს სიამაყით ჩაუწერია 85 წლის გაზეთისა და 105 წლის ბიბლიოთეკის არსებობის შესახებ, ჯეროვანი ადგილი საუკუნეზე უხნეს მე-12 საჯარო სკოლასაც უკავია. ყოფილი ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის № 14 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მახსოვრობაში შემორჩენილი გაუხუნარი წლების ქრონიკებს „სამტრედიის მაცნე“ არაერთხელ გაჰყოლია მეგზურად მკითხველთა გულამდე.***

***ამჯერად რუბრიკის „ერთი სკოლის ისტორიიდან“ სტუმარი შუქურა ჩიხლაძეა, მტრედადკურთხეული ქალაქის მცხოვრებთათვის კარგად ნაცნობი ქალბატონი.***

„1936 წელს დავიბადე. ყრმობის ასაკიდანვე აისახა ჩემს პიროვნებაზე ერუდირებული, კაცთმოყვარე მშობლების, შალვა ჩიხლაძისა და ნინა კახიანის კვალი“. _ მადლიერების გრძნობით იწყებს ჩვენთან საუბარს ქალბატონი შუქურა.

გარდა დიდი პატივისა, სამაგალითო ოჯახის შვილობა, საგვარეულო ტრადიციების შეუბღალავად გაგრძელება რამდენადმე საპასუხისმგებლოც იყო მისთვის, მაგრამ შუქურა ჩიხლაძემ შეურცხვენელი მანდილითა და ავტორიტეტით ესეც მისაბაძად შეძლო.

„1941 წელს, მაშინ, როცა ქალთა და ვაჟთა სკოლა ერთიანი იყო, _ თხრობას განაგრძობს რესპონდენტი, _ მამაჩემის, შალვა ჩიხლაძის სკოლაში შევედი. მოგვიანებით, სწავლა სამტრედიის ამიერკავკასიის რკინიგზის № 14 საშუალო სკოლაში განვაგრძე.

მაგონდება სკოლის საოცარი იდილია, პედაგოგთა განუმეორებელი პლეადა: შურა კახაძე, თამარ ჩხეიძე, გოგიტა მაჩიტიძე, ნინა წიქორიძე, თამარ ჯანელიძე... დამეთანხმებით, სკოლას, რომელსაც მასწავლებელთა შეუცვლელი შემადგენლობა ჰყავდა, თავისუფლად შეეძლო აღეზარდა სახელმწიფო სასწავლებლების დონის მოსწავლეები.



შუქურა ჩიხლაძე, ნელი დადიანი, ცისანა მერაბიშვილი

შუშანა ქართველიშვილი _ მზრუნველი მშობლის ამპლუაში მოვლენილი დირექტორი მთელი სკოლისათვის. მის ხასიათში შეზავებული იყო მაღალი ადამიანურობის, ჭეშმარიტი პროფესიონალისა და სამართლიანი ხელმძღვანელის თვისებები“.

ქალბატონმა შუქურამ 1956 წელს, ოქროს მედალზე დაამთავრა მისთვის რწმენის კედლებად ქცეული სკოლა და მომავალი ბავშვობიდანვე მიზნად დასახულ ექიმის პროფესიას დაუკავშირა.

„ოჯახი და სამსახური არასოდეს გამხდარა ჩემთვის ურთიერთხელისშემშლელი ფაქტორი. მე და ჩემს მეუღლეს, დემურ ჯოგლიძეს ერთი ქალიშვილი შეგვეძინა. ნინომაც ჩემი მშობლიური სკოლა დაამთავრა. ის ექიმია, თბილისში ცხოვრობს და 2 შვილის დედობით მოგვრილი სიხარულით გვიხალისებს ცხოვრებას“. _ დასძენს ქალბატონი შუქურა.



შუქურა ჩიხლაძე, ნათელა შავიძე

არც ისე ცოტაა ნახევარი საუკუნე ერთ სამსახურში, ერთ თანამდებობაზე დაჰყო, შუქურა ჩიხლაძის სამედიცინო სფეროში მოღვაწეობა ამ ყველაფრის საუკეთესო მაგალითია.

ოთხი წელია დამსახურებულ პენსიაზე მყოფი, ღვაწლმოსილი ქალბატონი მოკრძალებით საუბრობს განვლილ ცხოვრებაზე და აღნიშნავს: „მიხარია, რომ მე-12 საჯარო სკოლა დღემდე ინარჩუნებს ნიჭიერი ახალგაზრდების სამჭედლოს როლს. ვუსურვებ, სახელოვანი ყოფილიყოს მისი არსებობის ყოველი ახალი დღე, დღე მომავლის საამაყო შვილების აღზრდისა და წარმოჩენისა“.

შოთა კაკავა

**ნათია ნაცვლიშვილი**

# "ტკბილ არს უფალი..."

მაისი რელიგიური დღესასწაულებით დატვირთული თვეა, ამიტომაც № 1 საქალაქო ბიბლიოთეკაში რელიგიურ თემაზე ღონისძიება მოაწყვეს. რადგან ბიბლიოთეკა ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარეობს, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები სასულიერო პირები მოიწვიეს: წმინდა თამარის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, მამა დავითი და გომის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, მამა მიქაელი. ღონისძიებას ასევე სტუმრობდა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მოძღვარი მამა ანტონი.

შეხვედრა ბიბლიოთეკის დირექტორმა, ნანა გოგიშვილმა გახსნა, წუთიერი დუმილი მიაგეს ქობულეთში დაღუპულ 3 მოსწავლის ხსოვნას. წამყვანმა ისაუბრა რელიგიური დღესასწაულების: გიორგობის, ნიკოლოზობის, წმინდა ანდრია პირველწოდებულის და წმინდა თამარის ხსენების მნიშვნელობაზე. ქრისტიანული დღესასწაულების შესახებ შესანიშნავი ცოდნა გამოავლინეს, პატრიოტული ლექსები წარმოთქვეს და იმღერეს მოსწავლეებმა, რომლებიც ამავე ქუჩის მცხოვრებნი არიან: №11 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ნინო ნადირაძემ, საბა უღრელიძემ, ოლეგ მეგენეიშვილმა, გიორგი ორმოცაძემ, დავით ნადირაძემ, ბადრი და ლიზი ხეთერელებმა, გიორგი ტორონჯაძემ, № 1 საჯარო სკოლიდან ლილიკო ხურცილავამ, № 4 საჯარო სკოლიდან თამარ ჯინჭველეიშვილმა, № 10 საჯაროდან ნინო ბაღდავაძემ და ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლიდან ეკატერინე ტურძელაძემ. მოსწავლეთა მიერ შესრულებულმა ქართულმა, მთიულურმა და რაჭულმა ცეკვებმა დამსწრეთა უხვი აპლოდისმენტები დაიმსახურა.

განსაკუთრებული სიყვარულით მოიხსენიეს მეფე-ქალი თამარი, რომელმაც დაიბარა ყოფილი მცხეთის კათალიკოსი ნიკოლოზი, შეკრიბა მთელი სამეფოს ეპისკოპოსნი, მონაზონნი, საღვთო სჯულის მცოდნე პირები. შევიდა კრებაზე, სიმდაბლით ეამბორა მამებს და მიმართა: წმინდანო მამანო, დადგენილნი ხართ ღვთისაგან მოძღვრებად ეკლესიისა, თქვენ მოგთხოვთ ღმერთი პასუხისგებას ჩვენი



ცხონების შესახებ. გასწორება იწყეთ ჩემიდგან, რადგანაც სიდიდეს ვატარებ მეფობისათვის და არა ღვთის საგმობად. ორთავე მხარემ ხელი ხელს მივცეთ სარწმუნოების დაცვაში, რომ არ ჩავცვივდეთ ღვთის პასუხისგებაში." ისაუბრეს წმინდა გიორგის წმინდა ნიკოლოზის და ანდრია პირველწოდებულის ღვაწლზე.

და-ძმამ, ანა და ვახტანგ ნადირაძეებმა შეასრულეს ბაჩუკი ჩაბრაძის ლექსზე ფოთოლა ჩიქობავას მიერ შექმნილი სიმღერა "იესო ჩემში".

ბიბლიოთეკის მკითხველმა ნანი კვესელავამ ასევე ისაუბრა ქართველობის და ქრისტიანობის ერთიანობისა და განუყოფლობის შესახებ.

მამა დავითი მიესალმა სტუმრებს: "მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ეს დღე ეძღვნება მაისის თვეში ხსენებულ წმინდანებს, ამ თვეში არის წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენება, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენება, წმინდა ნიკოლოზობა და თამარობა, შევიკრიბეთ იმიტომ, რომ ამ წმინდანების ღვაწლს სათანადო შეფასება მივცეთ, ჩვენმა პატარებმა მართლაც ლამაზი დღესასწაული მოაწყვეს. მართლაც ტკბილ არს უფალი და უკუნისამდე წყალობა მისი. მართლაც უფლის წყალობით ვარსებობთ, უფლის სიყვარულით არსებობს ეს სამყარო, კარგია ყოველთვიურად თუ ჩატარდება მსგავსი ღონისძიებები. ზოგს უჭირს ეკლესიაში მისვლა, მოძღვართან ურთიერთობა, ას-



ეთი ღონისძიებებით კი ადამიანები უფრო დაუახლოვდებიან მოძღვარს და გაძლიერდებიან რწმენაში".

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი: ბიბლიოთეკის ამ კვირეულის ფარგლებში შესანიშნავი ღონისძიებები მოეწყო, ეს დღეც



კვირეულის შესანიშნავი დასასრულია. არ ვტოვებ არც ერთ საბიბლიოთეკო ღონისძიებას. ცივილიზაცია და კომპიუტერი ჯიბრში უდგას წიგნს, სწორედ აქ არის უდიდესი სკოლის როლი, ახალგაზრდობა დავაბრუნოთ წიგნთან, თქვენ ხართ ბავშვებო მომავალი მშენებლები, ჟურნალისტები, საქართველოს ხვალინდელი დღე. დიდია დედა ეკლესიის როლი".

ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის უფროსი ბიბლოთეკარი რუსუდან კახიანი: "ძალიან მიხარია, რომ დღეს საქალაქო ბიბლიოთეკაში ასეთი ხალხმრავლობაა, ჩვენი პრიორიტეტია, მივიზიდოთ რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდა. ბავშვებო, იცოდეთ, წიგნს ვერაფერი ჩაანაცვლებს, უნდა იაროთ ბიბლიოთეკაში, იკითხოთ ბევრი, ამ ბიბლიოთეკის თანამშრომლების ღვაწლი უნდა აღვნიშნო, ქალბატონ ნანას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს თავისი საქმისადმი, ასევეა ქალბატონები ნინო შანიძე და ახალი თანამშრომელი, მარიკა ადეიშვილი".

მამა ანტონმა (ვაშაკიძე) უდიდესი მადლობა გადაუხადა შესანიშნავი ღონისძიების შეთავაზებისათვის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას და მოსწავლეებს და აღნიშნა, ძალიან კარგია, რომ 99-ე ფსალმუნი წაუმძღვარეთ მოსაწვევს: "ტკბილ არს უფალი და უკუნისამდე არს წყალობაი მისი". მისასალმებელია, როცა მოზარდები რელიგიური თემით ინტერესდებიან. სორენ კირკეგორი, დანიელ ფილოსოფოსი გამოყოფს ადამიანის განვითარების სტადიებს, მისი თეორიის თანახმად ადამიანი ვითარდება სამ ფაქტორში: ეთიკაში, ესთეტიკასა და რელიგიაში. რელიგია არის დახასიათებული, როგორც ადამიანის განვითარების უმაღლესი ნიშა. ყველა რელიგია თავის თავში მოისაზრებს უმაღლეს იდეებს, მაღალ ფასეულობებს, მარადიულ ღირებულებებს: ღმერთი, ადამიანი, თავისუფლება, სიყვარული, უკვდავება. როცა ადამიანებს ეს ყველაფერი აინტერესებს, მისასალმებელია, თქვენს ნაამბობში ბავშვებო ეს დავინახეთ, სულით და გულით დაგლოცავთ, თქვენს შემოქმედებაში ერთგვარად შეინიშნებოდა წარსულისადმი ნოსტალგია, პატივი უნდა მივაგოთ ჩვენს წარსულ გმირებს, მაგრამ ილიასი არ იყოს: "ჩვენ უნდა შევქმნათ მყოობადი, ჩვენც უნდა შევიტანოთ ინოვაცია სამყაროში. ნიცშე ამბობდა, ადამიანის სიცოცხლემ მშვენიერება უნდა შობოს, გამოხატოს, დაადასტუროს, სწორედ ასეთ სიცოცხლეს გისურვებთ".

# "სკოლის წლები მოგონებად დარჩა"

ახალგაზრდული ზღვარდაუდებელი ენერგია, იუმორი, ინტელექტი და ემოცია ერთად შეიკრა და სიცოცხლე ვარდისფერად აამჩქეფარა მე-11 საჯარო სკოლის დარბაზში. თორმეტი წელიც მიითვალა ცხოვრების გიჟურმა ხანამ, უკვე წარსული რომ ქვია და ახლა მოგონებების თემად რომ უქცევიათ. ბევრი იმღერეს, იმხიარულეს, გამოსაშვებ ზეიმზე, ბოლო ზარის დარეკვამდე ყველა ჩავლილი ლამაზი დღის ზარი კიდევ ერთხელ დარეკეს და გაწეული ამაგის, გათეული ღამეების გამო პედაგოგებს სითბოთი და სიყვარულით სავსე სიტყვები უთხრეს.



მე-12 მე-2 კლასის მოსწავლეები ამიერიდან ცხოვრების დიდ შარაგზაზე გავლენ, საინტერესო იდეებს ისაგზლებენ, სკოლაში რომ გამოაწრთეს. მოსწავლეებს გზა დაულოცეს პედაგოგებმა ირინა ჯანელიძემ, მაია ჯულაყიძემ, ლუდა სტურუამ და სკოლის დირექტორმა ლენა ხაჟალიამ. იუმორისტულ სკეტჩშიც კი მიიღო მონაწილეობა რუსიკო ნიკურაძემ, კლასის დამრიგებელმა, რომელსაც განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის ამ მოსწავლეთა წინაშე.

შესანიშნავად შეასრულეს სიმღერები "ნისლი ჩამოწვა არხოტის თავზე" და "კავკასიური ბალადა".

შესანიშნავად წარმოადგინეს მიხეილ ქვლივიძისა და მუხრან მაჭავარიანის საუკეთესო ლექსები, რის გამოც განსაკუთრებული აპლოდისმენტები დაიმსახურეს. მოსწავლეებმა ღონისძიების პროგრამის მომზადების გამო მადლობა გადაუხადეს თანაკლასელ ზიკო ჯინჭარაძეს.

და რადგან საოცრად პოეტურ ნოტაზე მოვიმართეთ, ამ ახალგაზრდებს რეზო ამაშუკელის სიტყვებით დავულოცავთ გზას:



"შენ ამარიდე, სახიერო,
შური და გესლი!
ქალი და ვაჟი, მზე და მთვარე მიმყოფე წყვილად!..
მაცხოვრის სხივმა განაბნიოს კეთილი თესლი
და ქრისტეს რჯულმა ღონე მისცეს
ჩვენს ჯიშს და ჯილაგს!.."

*ნათია ნაცვლიშვილი*

**თეა ბაბუნაშვილი**

# კი არ ამთავრებთ, იწყებთ!

***ჰო, იმ დღეს მათი იყო ქვეყანა! სხვანაირი ხმა ჰქონდა სკოლის ზარს, ისეთივე იდუმალი, როგორც მაშინ, პირველად რომ შემოდგეს ფეხი ამ კედლებში და უცნობი სამყაროს დასაწყისად გაიგონეს მისი წკრიალი. ახლა სკოლის დამთავრებით ბავშვობასთან გამოთხოვების ტკბილ-მწარე სევდით იწყებენ ფეხის აწყობას მომავლის მარშზე. და კი არ ამთავრებდნენ, იწყებენ! თუმცა, ამას მაშინ გაითავისებენ, წლების შემდეგ საკუთარი შვილების "ბოლო ზარი" თვალსმომდგარი ცრემლით რომ მოაგონებთ დიდფანჯრიანი სკოლის შენობაში გაფრენილ ბავშვობას და მერხს შერჩენილ პირველ სიყვარულს.***

მეთორმეტე საჯარო სკოლაში უკვე საუკუნეზე მეტია ასე ხდება. ვინ მოსთვლის, მერამდენე თაობამ გაიხურა ამ სკოლის კარი და "გზა დაგელოცოთ" გააყოლეს საგზლად. ამჯერადაც საზეიმოდ მორთულმა სპორტულმა დარბაზმა შეითავსა სცენის ფუნქცია. ერთი კლას-



ის ბედნიერება ასე დაიწყო. საქართველოს დროშის ფერებში გადაწყვეტილებმა ცრემლიანი ღიმილით გადაფურცლეს 12 წელი, სიყვარულით, ცელქობით, ბეჯითობით და ზარმაცობით სავსე. ყველა გაკვეთილი გაახსენდათ და ყველას გაკვეთილი გაიხსენეს. ზოგს გამოაჯავრეს კიდეც, მოფერება კი არც ერთი პედაგოგისა დავიწყნიათ და გასჭირვებიათ. რაც მთავარია, გულწრფელი იყო მათი გრძნობები. განსაკუთრებული მადლიერება პირველი მასწავლებლების, სვეტა ქობულიასა და მედდა გეგეშიძის მიმართ გამოხატეს. მათაც გზა დაულოცეს უკვე დაფრთიანებულებს, ღრმა სიბერემდე აღსაზრდელების სახელით რომ მოაგონდებათ. "დღეს სხვანაირად რეკავს თქვენთვის სკოლის ზარი. წარმატებებით სავსე გზა დაგელოცოთ!"_ სკოლის დირექტორი ხათუნა თელია კიდევ ერთ თაობას ლოცავდა სკოლის კარის გახურვის წინ. ცრემლიანი იყო კლასის დამრიგებლის, ნინო ონიანის მილოცვა, დალოცვად რომ გაჰყვებათ ამიერიდან სავალ ბილიკებზე.

განსაკუთრებულად მოემზადნენ ამ დღისთვის, ისე, როგორც ღია გაკვეთილისთვის ემზადებოდნენ. ახლა სიმღერას ცეკვა შეუწყვეს. საკუთარი შესაძლებლობები კიდევ უფრო გამოავლინეს. ამაში სხვებთან ერთად პედაგოგები, ქრისტინე ზაქრაძე და დათო მელქაძე დაეხმარნენ.



და დღე, იდუმალებით დაწყებული ლამაზად დასრულდა მომავალი იდუმალების მოლოდინში. აკი, წაიკითხეს კიდეც _"წინ მეეტლევ, ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!" ასე იწყება და არ მთავრდება მათი სრბოლა ოცნებაახდენილ საოცარ სამყაროში.



# ლორთქია

ამ სახელით იცნობდნენ კოლორიტ თბილისელს, ხალას, ყველასთვის ახლობელ გურამ ლორთქიფანიძეს. იცნობდნენ მისი მძიმე ბავშვობით, მოყვარული კინომსახიობობითა და მეხსიერებიდან წარუშლელი როლებით.

"მითხარ, ვისთან ხარ, გეტყვი, ვინცა ხარ". – გოეთეს ეს სიტყვები სრულად ასახავდა მის პიროვნებას. სამეგობრო წრე, რომელიც ახალგაზრდობიდანვე გვერდში ედგა გურამ ლორთქიფანიძეს, თბილისელთა და ზოგადად, ქართველ ინტელიგენტთა ის თაობა გახლდათ, საკუთარი, ახალი სიტყვა რომ თქვეს რუტინულ ყოველდღიურობაში და ამ განსხვავებული მსოფლმხედველობით მთელი ეპოქა შექმნეს ქართული კინოს, თეატრის უახლეს ისტორიაში.

გურამ ლორთქიფანიძესთან პირველ პროფესიულ, სამსახიობო კავშირს ფილმ "არაჩვეულებრივი გამოფენიდან" იწყებს კინორეჟისორი ელდარ შენგელაია. გურამისეული აგული ხომ დღემდე რჩება მიუღწეველი იდეალების მაძიებელი შემოქმედის ნიმუშად. ფილმის პერსონაჟმა: "მე ამისგან გავაკეთებო" და "ლორთქიამაც" უამრავი ეკრანული სახე შეჰქმნა.

"პირველი მერცხალი", "რაჭა ჩემო სიყვარულო", "სინემა", "გასეირნება თბილისში", "ცისფერი მთები", "ხარება და გოგია" – ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, ბატონი გურამის ფილმოგრაფიის მცირე ნაწილს რომ ივავებს.

ხალისიანი, თბილი, პირმომცინარი, თეთრი ულვაშით დაფენილი "ლორთქია" დააბიჯებდა ჩვენს თმაჭაღარა დედაქალაქში და ჰშვენოდა მას.

ამ ქვეყნად გიორგობა დღეს – 6 მაისს მოვლენილი, შობის წინ, 2008 წლის 6 იანვარს გარდაიცვალა გურამ ლორთქიფანიძე და მისი სული "უკეთეს საქართველოს", ზეციურ საუფლოს "შეეხიზნა".

უკანასკნელ გზაზე მიმავალს, საქართველოს სახალხო პოეტმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა ლექსი უძღვნა განუყრელ მეგობარს:

"სიკეთე გყავდა მოახლედ, შენ სასწაული კაცი ხარ,
ვერ დაესწარი შობა დღეს, შობა დღეს სამოს გასცლიხარ.
ძმებს ხვალინდელ დღეს უქმნიდი, არ გწამდა ეშმას გვრიტების,
მე მწამდა შენი შუქის და მუდმივი ჭეშმარიტების.
მართლის გზით მრავალტანჯულო, ლექსით მოგიკლავ წყურვილსა,
წუთისოფლისა მსაჯულო, იქაც მწამს შენი რჯულისა.
არც ხალისი მაქვს ღვინის სმის, ვტირი და ცრემლით ვივსები,
სტირის და გოდებს თბილისი, ცრემლითა შენი ღირსების.
იმ ძმობის სუფრას ვინ გაშლის, – შენსავით ძველი ლოდი ვარ,
შენს საძმაკაცო სიაში, "ლორთქი", მეცა ვარ – მოვდივარ..."



ამ დღეებში 85 წელი სრულდება საქართველოს დამსახურებული არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან.

შოთა კაკავა

## ჩვენ კი ვერასდროს ვერ დავბრუნდებით...

ვერც დაბრუნდნენ. დიდ ჯიხაიშელი ძმები კოწია, ჟორჟიკა და ვასიკო ნასარეიები იმ სამასი ათას ქართველთა შორის არიან, სამშობლოს პირველსავე დაძახილზე ფარაჯა რომ ჩაიცვეს, ხელში იარაღი აიღეს და გმირის სიკვდილით დაეცნენ ბრძოლის ველზე.



მათ მეტმა არავინ იცის, თუ რას ფიქრობდნენ, რაზე ოცნებობდნენ ძმები, როცა ეშელონი რუსეთის უკიდეგანო ტრამალებში მიაქროლებდათ ომში მიმავალთ. არც ის იციან ახლობლებმა, თუ "სად ლპება მათი ქოჩორი, თვალი სად ამოუღამდათ".

ამ დღეებში კაცობრიობის ისტორიაში მანამ არნახული სისასტიკის მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 70-ე წლისთავი აღნიშნეს. მოიგონეს ომში დაღუპულნი, მადლობა უთხრეს ნაომარ ვაჟკაცებს. სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ მოგვეგონებია სოფიო და გერასიმე ნასარეიების უძეოდ და უასულოდ ომში დაღუპული ვაჟკაცები, თაობათა ნათელი მომავლისთვის რომ გასწირეს სიცოცხლე. გმირები არიან ისინი, გმირები, რომლებმაც მოგვიტანეს გამარჯვება, რომლებმაც გვაცხრამაისეს.

დიახ, სანთლებად აინთებს მათ ხსოვნას სამშობლო.

ლევან გაბეჩავა

სურათზე: კოწია, ჟორჟიკა და ვასიკო ნასარეიები

## შალვა ნანობაშვილი



მოულოდნელი, თავზარდამცემი იყო შენი ლამაზი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული ოჯახის, ახლობლების, მეგობრებისათვის. დრომ ვერა და ვერ გაანელა უშენობით გამოწვეული ტკივილი.

16 მაისი შენი დაბადების დღეა, მოვალთ შენს საფლავთან და ისევ ისეთივე სიყვარულით მოგეფერებით, როგორც წლების მანძილზე. მშვიდად იძინე, ჩვენო დაუვიწყარო შალვა.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა!

ოჯახი



## ლუბა გოგიას გახსენება

ოცი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო საყვარელო დედავ და ბებიავ, თუმცა, ისევ ისე გვიყვარხარ, როგორც მაშინ, ერთად რომ ვიყავით.

მოვალთ შენს საფლავთან და ყვავილებით შეგიმკობთ მარადიულ სამყოფელს.

სამარადისო ხსოვნა იქნება შენდამი ჩვენი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულება.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

შვილი, რძალი, შვილიშვილები ოჯახებით

## ხათუნა ბაკურაძე



აპრილის ლურჯთვალა იების ზღვას გაჰყვა შენი ლამაზი სიცოცხლე ხათუნა! ძნელია, შენზე მოგონება დავწეროთ, რადგან სიცოცხლე გწყუროდა. არასოდეს გიფიქრია, რომ წუთისოფლის კიბეს ასე მალე ჩაივლიდი, ებრძოდი მძიმე სენს, მაგრამ ვაი, რომ ყველა უძლური აღმოვჩნდით და სიკვდილი ვერ დავამარცხეთ.

14 აპრილს საზარელი ამბავი გაიგო ჩვენმა სკოლამ. იყო იდუმალება, ზარი... იწვა ახალგაზრდა ქალი. სიმშვიდე გადაჰფენოდა სახეზე. თითქოს ტკივილისაგან დაცლილიყო. გალობას დედის ხმა აპობდა მხოლოდ... სასაფლაოსკენ მიჰქონდათ თეთრი კუბო... პატარა ამიკომ ისტერიული კივილით გააცილა დედა უკანასკნელ გზაზე.

ხათუნა, ჩვენო პატარა ქალბატონო! შენ ამქვეყნიური ვალი არ გქონდა მოხდილი.

პატარა ამიკო შვლის ნუკრივით დაეძებს ლამაზი დედის სახეს...

სამტრედიის მეცხრე სკოლა არასოდეს დაივიწყებს ხათუნა მასწავლებელს. მუდამ მომღიმარს, ყველასათვის საყვარელ ადამიანს. ასე გვგონია, თითქოს ისევ ჩვენთან არის და კედლებიდან გასავალი ვერ უპოვნია.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს!

სამტრედიის №9 საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი

## ქალის იდუმალება

თვალის ისარი, ლაწვით შემკობილა,
სიტყვა ქებული, ბაგით ატყორცნილა,
ნეტარ-ღიმილი, ვარსკვლავად შემკობილა,
ცრემლის ელვარება, ნამად ჩამოღვრილა.
კაზმული რხევა, ქროლვას ემსგავსის,
ყოველი ნაბიჯი, ფოთოლცვენაა,
მისი თვალები, შეფეთებაა,
ცვრიან ბალახზე ირმის თრთოლვაა.
ყელი მაღალი, თეთრ გედს ემსგავსის,
კბილთა ელვარება, თოვლის დაედრება,
თლილი მკლავები, ტირიფივით ჩამოზიდული,
თითების ლერწნი, ნიავის ნაკადს დაედარება.
აზიდულ მკერდით, პირამიდას გაეჯიბრება,
მისი სხეული, ჩელოს ჩამონაქნია,
დალალის რხევა ნიავს ჩაენაცვლება,
ქალის იდუმალება, ღვთისგან დალოცვილია.

## ფიქრი და ღიმილი

ფიქრად რომ მოხვალ
სუნთქვა მეკვრება,
ღიმილი შენი
გულში მედება...
შენი ალერსი
გულში ჩაბუდდა,
და სატრფიალო
სიმი აჟღერდა.
ო, ეს ჰაერი
შენგან ნაბერი,
ჩემს სუნთქვას ეკვრის,
ფიქრად მოსული.
შენი ღიმილი,
შენზე ფიქრები,
შენი გულის თქმა
და...
ეს თვალები.

ნათელა სტურუა



## ომარ (ფარფალა) ქუთათელაძის მონატრება

უსაზღვროა მონატრება, რომელიც შენი არყოფნის ორმა წელმა ვერ გაანელა. ჩვენო ტკბილო, თბილო, ვაჟკაცო მეუღლევ და მამავ, ყველაფერს ვაკეთებთ შენი სპეტაკი სულის უკვდავებისათვის. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდში დაგვიდგა ჩვენთვის მძიმე წუთებში. განსაკუთრებული მადლობა ავტოტრანსპორტელებს, რომლებმაც არღნითა და ფაეტონით გაგაცილეს უკანასკნელ გზაზე.

მადლობა შენ ჩვენთვის გამოჩენილი სითბოსა და სიკეთისათვის. ნათელში იყავი, არასოდეს დაგივიწყებთ.

მეუღლე მანანა, შვილები ოჯახებით

## ვერა ღლონტის გახსენება

"ისე ლამაზად უნდა იცხოვრო,
მზის ჩასვლას უნდა ჰგავდეს სიკვდილი"-ო, უთქვამთ. ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო ვერიკო! უშენოდ დადგა ტკივილიანი ვარდობისთვე შენს საყვარელ ღანირში. შენს სამუშაო მაგიდაზე აღარ ბრიალებს წითელი ვარდები, რომელსაც სიყვარულით გჩუქნიდნენ შენი აღსაზრდელები.

შენი სიცოცხლე მხოლოდ ერთი გაელვება ყოფილა, რომელმაც თან გაიყოლა შენი სიყვარულითა და სიკეთით სავსე გული და შეუსრულებელი 50 წელი.

უფალს შევევედრებით, რომ ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი, ფაქიზი სული წმინდანთა ზეციურ სასუფეველში. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ღანირის საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს შენი მეგობრები გვერქვა!



ღანირის საჯარო სკოლა

# ბრინჯაო, ვერცხლი და... ოქრო
## "ჯიკო" ამას შესძლებს

*წარმატება და წარუმატებლობა, მოგება-წაგება სპორტსა და არა მარტო სპორტში ჩვეულებრივი ამბავია. არა მარტო დიდი ჯიხაიში და სამტრედია, სრულიად საქართველო, ფრენბურთის მოყვარულნი ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ააიპ "საფრენბურთო კლუბ ჯიკოს" ფრენბურთელ ქალთა გუნდ "ჯიკოს".*

*კლუბის დირექტორი ბატონი ბენიამინ სანებლიძე, მთავარი მწვრთნელი ბატონი ნუგზარ მიქაძე, სპორტული დირექტორი კი, ბატონი იაკობ მანჯგალაძე გახლავთ.*

2002 წლიდან ზედიზედ ცხრა გზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ორგზის მონაწილე, საქართველოს თასის ზედიზედ სამგზის მფლობელი, სომხეთის საერთაშორისო ტურნირებში ორგზის გამარჯვებული გუნდ "ჯიკოსა" და თბილისის ფრენბურთელთა გუნდის წევრთაგან საქართველოს ნაკრების დაკომპლექტება ნათლად მეტყველებს გოგონათა შესაძლებლობებზე.

ამ დღეებში გუნდის სპორტულ დირექტორს, ბატონ იაკობ მანჯგალაძეს ვთხოვეთ ეამბნა "ჯიკოს" სამომავლო გეგმებზე, უახლოეს პერსპექტივაზე, რაზედაც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

_ ამჟამად ეროვნულ ნაკრებში მიწვეულნი არიან: ირინა კახაძე, ცარინა სანაძე, ჯულიეტა სანაძე, ახალგაზრდულ ნაკრებში კი, _ სოფიო ჩომახიძე. გუნდის წარმატებაში საკუთარი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა სპორტსმენმა სალომე ჩიქოვანმა. _ გვითხრა ბატონმა კობა მანჯგალაძემ. მან გუნდის ტვინი და დირიჟორი უწოდა ნონა ღვინჯილიას, რომელიც როგორც ყოველთვის, ამჯერადაც თავდაუზოგავად იბრძოდა, რათა გუნდისთვის წარმატება მოეტანა.

_ აღსანიშნავია, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები გაგებით ეკიდებიან "ჯიკოს" შედეგებს და ყველაფერს აკეთებენ გუნდის ფინანსური სტიმულირებისათვის. ამან, როგორც მოსალოდნელი იყო, გაზარდა სპორტსმენთა მოტივაცია და შედეგიც სახეზეა _ "ჯიკომ" სძლია ბათუმის ძლიერ გუნდს და ვერცხლის მედალი მოიპოვა, მადლობა მუნიციპალიტეტის თავკაცებს. _ დასძენს გუნდის სპორტული დირექტორი. იგი მადლობას უხდის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ბატონ ზაზა ადეიშვილს, გულშემატკივრობისათვის.

სამტრედიაში მომავალ წელს მწყობრში უნდა ჩადგეს სპორტის სასახლე, ბატონ კობას ეს დიდ იმედს აძლევს, რამეთუ აქ, სპორტის სხვა სახეობებთან ერთად ფრენბურთის განვითარებისთვისაც იქნება სათანადო პირობები.

ერთი საკითხი, რომელმაც ჩვენი ყურადღება განსაკუთრებულად მიიპყრო, ბატონი კობა აღნიშნავს, რომ სპორტისადმი, ამ შემთხვევაში ფრენბურთისადმი ინტერესი ახალგაზრდებს ბაღის ასაკიდან უნდა გავუღვივოთ. იგი თხოვნით მიმართავს საჯარო სკოლების სპორტის პედაგოგებს, მშობლებს, თავად ფრენბურთით დაინტერესებულთ, რომ თუ აღმოაჩენენ პერსპექტიულ ნიჭიერ მოთამაშეს, გუნდის ხელმძღვანელობა იტოვებს უფლებას, მათთვის (სპორტსმენთათვის) სათანადო პირობების შექმნით ისინი მიიწვიონ "ჯიკოს" ღირსების დასაცავად.

წარმატებებს ვუსურვებთ "ჯიკოს" ხელმძღვანელებს, შემადგენლობას, მთავარ მწვრთნელს, ბატონ ნუგზარ მიქაძეს, ბატონმა კობამ გამოუსწორებელი ოპტიმისტი რომ უწოდა.

დაბოლოს, იქ, სადაც მონდომებაა, მიუღწეველი არაფერია, მით უფრო, რომ შარშანდელი ბრინჯაო, წლევანდელი ვერცხლი უდავოდ გვესახება გაცილებით დიდი მწვერვალების დაპყრობისათვის სამზადისად.

გვწამს სამტრედია საფრენბურთო ქალაქის იმიჯს გაიმყარებს. "ჯიკო" ამას შესძლებს.

**ლევან გაბეჩავა**

თუ ყოველწამს შეიცვლება
კურსი მწვანე დოლარის,
ნუ გექნებათ იმედები
უკეთესი მომავლის.



# გმადლობთ!



ამ დღეებში ჩემი დაბადების დღე გახლდათ, 80 წელი შემისრულდა. ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე მთავარი თუ ეპიზოდური 60-მდე როლი მაქვს შესრულებული.

ჩემი გადასახედიდან ყველას ვეფერები და ყველა მიყვარს. ბედნიერებაა, თუნდაც რამდენიმე წუთი იდგე სცენაზე დიდ მსახიობებთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, ეროსი მანჯგალაძესთან, რეჟისორ-კონსულტანტთან, აკაკი ვასაძესთან, რეჟისორებთან: ვიქტორ მურღულაიასთან, ბიჭიკო ტორონჯაძესთან, ტარიელ ხაჟალიასთან, დავით ტაბიძესთან.

მადლობა ყველას, ვისაც გავახსენდი. ხალხს ვუყვარვარ და ეს ყველაზე დიდი ჯილდოა მსახიობისათვის და ბიბლიოთეკარისათვის. "დავბერდი თუ დავძველდი.." ჩემი ასაკი არ დაჰკლებოდეს სამტრედიელებს!

**მზია ჩიხლაძე-რურუა**

# ვულოცავთ!

**ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს! ჯანის სიმრთელე, დღეგრძელობა, ქალური ბედნიერება და პროფესიული წარმატებები დაგებედოთ.

**"სამტრედიის მაცნე"**

დაბადების დღეს გილოცავთ, მადლობას გიხდით ვეტერანებისადმი გამოჩენილი სითბოსა და ყურადღებისათვის, უფალმა გაგაძლიეროთ!

**ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი**

# ვულოცავთ!

**ბატონ დავით ბახტაძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, ბედნიერება დაგებედოთ თქვენ და თქვენს ოჯახს.

**"სამტრედიის მაცნე"**

**ბატონ დავით ბახტაძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ, გფარავდეთ ღმერთი!

**ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი**

# უჩა მარგიანი "გრანდ სლემის" ვერცხლის პრიზიორია

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში 8 და 9 მაისს ტრადიციული ორთაბრძოლები გაიმართა ჭიდაობა ძიუდოში. საერთაშორისო ტურნირი "გრანდ სლემი" მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ტურნირად ითვლება. მასში მონაწილეობით სამყაროს ყველა ქვეყნიდან ფალავნები 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადისთვის ქულებს აგროვებენ.

ბაქოს "გრანდ სლემზე" საქართველოს ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქვეყნის ღირსებას იცავდა კლუბ "ფალავანის" აღზრდილი უჩა მარგიანი (კლუბის დირექტორი ირაკლი მელაშვილი).

სამტრედიელმა მარგიანმა 5 შეხვედრა შესანიშნავად ჩაატარა და 5-ვეში დამაჯერებელ წარმატებას მიაღწია. ის თანმიმდევრობით ამარცხებს ჩეხ, ავსტრიელ, იაპონელ, გერმანელ და პორტუგალიელ ძიუდოისტებს. აღსანიშნავია, რომ ბაქოს "გრანდ სლემის" საპრიზო ფონდი 154 000 ამერიკულ დოლარს შეადგენდა.



უჩა მარგიანი ფინალურ ეტაპში რუს ფალავანს უნდა შეხვედროდა. ყველა შეხვედრაში გამარჯვებულ მარგიანს ჰქონდა შანსი, 9 მაისს ბაქოში ქართული ჰიმნი აეჟღერებინა. თუმცა, მცირედი ტრავმის გამო, მწვრთნელთა გადაწყვეტილებით იგი მე-6 ორთაბრძოლაში არ გამოცხადებულა. ამდენად, უჩა მარგიანი "გრანდ სლემის" ვერცხლის მედალს დასჯერდა, სარეიტინგო 300 ქულა მიითვალა და მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-14-დან მე-10 ადგილზე გადაინაცვლა.

ჯერ მხოლოდ 4 თვე-ნახევარია გასული და უჩა მარგიანმა წლევანდელი მიღწევებით მკერდზე საკმაოდ ბევრი მედალი ჩამოიკიდა. თბილისის გრან-პრიზე _ ვერცხლის მედალი, თურქეთის გრან-პრიზე ქალაქ სამსუნგში _ ბრინჯაოს მედალი, ბაქოს "გრანდ სლემზე" _ ვერცხლის მედალი.

"სამტრედიის მაცნეს" აღნიშნული ინფორმაციით ტრადიციულად დაუკავშირდა კლუბ "ფალავანის" ჭიდაობა ძიუდოს უფროსი მწვრთნელი, ასევე, უჩა მარგიანის პირადი მწვრთნელი, ავთანდილ თარგამაძე:

"კმაყოფილი ვარ უჩას ბაქოს "გრანდ სლემის" შედეგებით. მან ყველაფერი გააკეთა, რომ საქართველოსთვის კიდევ ერთი ლამაზი გამარჯვება მოეტანა. თუმცა არ შემიძლია, დანანებით არ აღვნიშნო, რომ მცირედი ტრავმის გამო ბაქოში საქართველოს ჰიმნი არ აჟღერდა. მე ვიცნობ უჩას და მის შესაძლებლობებს. ოქროსთვის ძალიან ცოტა დაგვაკლდა. ვისარგებლებ შემთხვევით და მწვრთნელებს, ბადრი შენგელიას და ბესარიონ შვანგირაძეს მადლობას გადავუხდი უჩა მარგიანის გამარჯვებაში შეტანილი წვლილისთვის!"

ჭიდაობა ძიუდოში მომდევნო საერთაშორისო ასპარეზობა ორი კვირის შემდეგ ევროპაში, სავარაუდოდ, საფრანგეთის დედაქალაქში გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებიდან უჩა მარგიანი მიიღებს.

**ნინო ნანიტაშვილი**

# საჭადრაკო ფესტივალი "თერჯოლა 2015"

სამტრედიელ მოჭადრაკეთა წარმატებებით დიახაც რომ განებივრებულები ვართ.

ამ დღეებში თერჯოლამ საჭადრაკო ფესტივალს "თერჯოლა 2015" უმასპინძლა. მასში სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი გენო ნიკურაძე) მოჭადრაკეები, ასევე საყოველთაოდ აღიარებული, ჭადრაკში საქართველოს ეროვნული ოსტატი, ბატონი მერაბ არჩვაძე მონაწილეობდნენ.



მამაკაცთა შორის ბრწყინვალე შედეგი აჩვენა ბატონმა მერაბ არჩვაძემ, რომელმაც პირველი ადგილი დაისაკუთრა და შესაბამისი თასით, მედლითა და დიპლომით დაჯილდოვდა.

14 წლამდე ასაკის ბიჭებში III ადგილი რეზო ხუჭუამ, 8 წლამდე ბიჭებში ასევე III ადგილი რეზი გაბუნიამ დაისაკუთრეს, III ადგილს 8 წლამდე გოგონათა შორის დასჯერდა ლიკა ხუჭუა, მწვრთნელები _ ბესო ლეჟავა და ნინო ჯვარშეიშვილი.

ვულოცავთ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს საპრიზო ადგილებზე გასვლას და წარმატებებს ვუსურვებთ სამომავლოდ.

**ლევან გაბეჩავა**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა